


ජිවිතය  
සෑම ප්‍රාදේශීලිය

“සිංහල සාම්ප්‍රදායික  
සංස්කෘතිය සංස්කරණය කිරීමෙන්”



4.5.625

გიორგი გოგოლაშვილი

თავმუშაობების და მუშაობის  
1

„შეცნებით სავსე  
ქართული“

(ვიქტორი დავით კლდიაშვილი)

თბილისი 2019

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

„ენა და მწერალი“ ჩემი ფილოლოგიური  
ცხოვრების თანამდევი თემაა... გადავწყვიტე,  
წიგნაკების სახით წარმომედგინა მკითხვე-  
ლისათვის ჩემი ნაფიქრი ჩემთვის ძვირფას  
მწერლებზე...

ვიწყებ დავით კლდიაშვილით...

### რედაქტორი რუსუდან ლანდია

ტექნიკური რედაქტორი ლევან ვაშაკიძე  
კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან გრიგოლიასი

გარექანი ნინო ებრალიძისა  
პორტრეტი ზურაბ ლეჟავასი

## შინასიტყვა

### სერიისათვის – „ენა და მწერალი“

„ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი საძვეხა ცხენსა ჰგავს, გენოსიც რომ იყოს, კერც გაიქცევა და კერც დაიძრება,“ – წერს მიხეილ ჯავახიშვილი. – ეს არის აღბათ ყველაზე ზუსტი პასუხი კითხვაზე: რა არის ენა მწერლისათვის?

მრავალი აზრის მოშველიება შეგვიძლია ამ კითხვის პასუხად... ვაჟა-ფშაველას მოვუსმინოთ:

„ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა და, უკეთესად რომ ვსოდეთ, – მწერლის სულია; ენაში იმაღლება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“. ამიტომ ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები თუ ერთი-ორი რამ წაგიკითხავთ წინად, შეძლევ ხელმიუწერელიც რომ შეგ ხვდეთ, ადვილად იცნობთ, ვის კალამსაც ეპუთვნის.“ ენაში „უხილავად ჩაქსოვილია მოელი მისი (მწერლის – გ. გ.) სულიერი სიცოცხლე, ავლადიდება.“

სხვაც შეიძლებოდა... წინასიტყვისთვის ეს ვიკმაროთ... სხვა ცალკეულ მწერალთა შესახებ როცა ვისაუბრებთ, მაშინ ვთქვათ...

დიახ, ამ სერიაში ვაპირებთ ქართველ კლასიკოს მწერალთა შესახებ ვისაუბროთ...

ანუ: რას აძლევს ენა მწერალს და რას აძლევს მწერალი ენას?... რაში გამოიხატება მწერლის ენობრივი თავისებურება?... და სხვა...

ვისაუბრებთ ენობრივ საკითხებზე; თუმცა არა მხოლოდ  
ენობრივზე... შევეცდებით მწერლის ჩვენეული პორტრეტიც  
შევქნათ.... სერიის სათაურიც – ენა და მწერალი – ამითაც  
გვგონია გამართლებული...

ვიწყებთ დავით კლდიაშვილით...  
დიდი დავით კლდიაშვილით...  
მერე მუხრან მაჭავარიანი...  
ანა კალანდაძე...  
და სხვა...

## დავით კლდიაშვილი და ქართული ხეა

„ვწერდი, როგორც იწერებოდა“...

პეტრე უმიკაშვილს „ქამუშაძის გაჭირვება“ წაუკითხავს. მოსწონებია; შეუქია ავტორი, თუმცა ცოტა საყვედურიც გაურევია – ენა დაუწუნებია დავით კლდიაშვილისათვის. დავითი ჩვეული თავმდაბლობით მაღლობას უხდის უფროს მეგობარს – „მოხარული ვარ, რომ ჩემი საწყალი, გაჭირვებული ქამუშაძე შინაარსით მოვწონებია“ (სხვა თემაა, მაგრამ იმასაც მიაქციეთ ყურადღება, როგორი სიყვარულითა და თანაგრძნობით ისტენიებს თავის პერსონაჟს...)... და იმაშიც ეთანხმება ოპონენტის, ენა რომ დაუწუნა მწერალს: „ემზურით ენას და თქვენზედ უფრო მე ვარ უკამაყოფილო...“

ცოტა უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს: მწერალს ენას უწუნებენ; იგიც თავს დახრის და მაღლიერებასაც გამოხატავს კრიტიკისათვის... ეს ამბავი მთ უფრო საგულისხმოა, რომ ჩვენ სხვაგვარი მაგალითები გვაქვს: ენა დაუწუნეს ვაჟა-ფაშაველას... დაუწუნა სახალხო პოეტმა, ვისიც უდიდესი პატივისცემაც ჰქონდა თავად ვაჟას, მაგრამ ენის დაწუნება სხვა რამეა პოეტისათვის. გავიხსნოთ: როცა ვაჟას ენა დაუწუნა მისივე თაობის წარმომადგენელმა, პეტრე მირიანაშვილმა, აღშფოთდა პოეტი; საქმაოდ მკაცრი პასუხი გასცა კრიტიკოსეს... აკაკი წერეთელს ასე ვერ გაუბედა. როცა აკაკიმ „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში“ (1898 წ.) უმცროსი კოლეგების, რაზი-კაშვილების, ენა გააკრიტიკა, პირდაპირ ვერ უპასუხა ვაჟამ, მაგრამ გამოაქვეყნა დიდებული წერილი „ენა“... ეს პასუხი იყო – დელიკატური, აკადემიური... ეს იყო დიდოსტატური

წარმოჩენა საკუთარი ენობრივი პოზიციისა... ხოლო როცა „ენას გიშუნებ, ფშაველო“ – უთხრეს (1913 წ.), ლექსის ლექსით უპასუხა... ცნობილი პოლემიკაა...

თავად დავით კლდიაშვილი მოიგონებს ვაჟას ნათქვამს: „ახირებული ადამიანია ჩვენი აკაკი! დამიწერა, „ენას გიშუნებ, ფშაველო“ კაცო, ამ ჩემი ენით მომწონს თავი, თორებ სხვა რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში! თუ ენაც დასაწუნია, მაშ აღარაფერი ყოფილა და ბარებც ასე თქვი პირდაპირ და ის იქნება! უცნაური კტენა იცის ხოლმე! – ამას საოცარი გულისტკივილით ამბობდა დიდებული ვაჟა“ (ვაჟას ნათქვამი – „იცის ხოლმე“ – იმას მიანიშნებს, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა აკაკის მიერ ვაჟას ენის დაწუნებისა; 15 წლის წინანდელი კრიტიკაც ახსოვდა ვაჟას...).

ამ მოგონებაშიც და მის კომენტარშიც აშკარაა დავით კლდიაშვილის თანაგრძნობა თანამოკალმისადმი, „ენადაწუნებული“ პოეტისადმი... მაგრამ...

მაგრამ როცა თავად დავითს დაუწუნეს ენა, დაეთანხმა... მეტიც, „შეამაგრა“ კრიტიკოსის აზრი: „მართალია, ენა ყოველთვის კოჭლობდა ჩემს ნაწერებშთა...“

ასეა ვითომ? მართლა „კოჭლია“ დავით კლდიაშვილის ქართული? რა არის ის, რაც არ მოსწონს პეტრე უმიკაშვილს და რის თაობაზეც დანანებით ამბობს მწერალი: „ეძღურით ენას და თქვენზედ უფრო მე ვარ უკამაყოფილოო...“

პეტრე უმიკაშვილს, ქართლელ კაცს, როგორც ჩანს, იმერიზმები სჭრის ყურს. დავითიც თუ ამას გულისხმობდა, არ იყო ძნელი გამოსასწორებელი ეს საქმე... მაგრამ ყველაფერი რჩება ძველებურად – ოტიაც იმერულად უქცევს და პლატონ სამანიშვილიც...

როგორ გავიგოთ, ჰქონდა სურვილი მწერალს „შეცდომების“ გამოსწორებისა და ვერ ახერხებდა?

ძნელი დასაჯერებელია... თუ გულდასმით წავიკითხავთ დავითის მემუარებს, იოლად დავორწმუნდებით ამაში. რა ხდე-

ბა? — არ სურს ენობრივი პოზიციის შეცვლა... მტკიცება მისი პრინციპები... მაშ, როგორ გავიგოთ, „ენა ყოველთვის კოჭ-ლობდა ჩემს ნაწერებშით...“ „თქვენზედ უფრო მე ვარო უკა-კოფილოო?“

ვითარება, ვფიქრობთ, სხვაა; ძალზე საინტერესო: მწერა-ლი ისე წერს, როგორც „ეწერება“. ამბობს კიდევაც — „ვწერ-დი, როგორც იწერებოდაო...“ ანუ, წერს ისე, როგორც მიაჩ-ნია, რომ ესაა სწორი ვარიანტი; სხვაგვარად არ შეიძლება დაიწეროს ის, რასაც წერს... მაგრამ კრიტიკოსებთან დავას თავს არიდებს — არ მიაჩნია თავის საქმედ. მე კი არ ვწერ, ასე „იწერებოდაო...“ ვისგან, რატომ და როგორ — ამ თემაზე თავს არიდებს საუბარს! ეს ხომ ის თემაა, ანა კალანდაძე რომ იტყვის: „სათქმელი ხშირად „თვითონ ძოძებნის“ თავის გამოხატვის ფორმას, თვითონ გიკარნაზებთ, რა ფორმით „სურს“ განხეულებაო...“ ეს კი აუხსნელია: „ჯერ კიდევ ბევ-რი რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცხობი და, ამდენად, განუმარტავი“ (ანა კალანდაძე).

სწორედ ამ „ამოუხსნელის“, „ამოუცხობის“, „განუმარტავის“ ამოხსნას, ამოცნობას და განმარტებას არ ცდილა და-ვით კლდიაშვილი... სხვათა შორის, საინტერესოა ისიც, რომ ამ „ამოუხსნელის“, „ამოუცხობის“ და „განუმარტავის“ ამო-ხსნა, ამოცნობა და განმარტება სცადა ვაჟამ, როცა პაექრობა დაიწყო ოპონენტებთან და... სამწუხაოოდ, ჩემი აზრით, აქ შეცდა ვაჟა (ვგულისხმობ იმას, ფშაური კილოს უბირატესო-ბაზე რომ იწყებს საუბარს...)...

ერთი ნიშანდობლივი ფრაგმენტი სერგო კლდიაშვილის მოგონებიდან: სერგო „სოლომონ მორბელაძიდან“ იხსენებს პა-საჟს და ეკითხება დავითს: „...ერთი, ორი შემობატიუებით რა-კა დარჩებოდა, შე ქალო!.. გადამთიღლი ხომ არ არის, ჩვენე-ბური ჩვეულება არ იცოდეს. შევეპატიუ, ვალი მოვიხადე. ისე ხომ არ გაუშობდი“, — მამა, ეს გაიგონე და ჩაიწერე, თუ?

- არც გამიგონია, არც ჩამიწერია.
  - მშვენივრად არის გადმოცემული ჩვენებური შემოპატიუბის ბუნება.
  - კითომ?
  - ძალიან კარგია.
  - შეიძლება... სიმართლე გითხრა, მე ასეთებზე თავი არ მიტეხია. ვწერდი, როგორც იწერებოდა. კიტა აბაშიძემ თავის კრიტიკულ წერილში ეს წინადაღებაც აღნიშნა. მე იმ წერილიდან გავიგე მხოლოდ, რომ ასეთი ფრაზა ძქონდა“.
- დიახ, წერდა, „როგორც იწერებოდა“. მისი შინაგანი ბუნება ასეთია: კრიტიკას ეთანხმება, უფრო სწორად, თავისი ენობრივი პოზიციის ახსნა-განმარტებას გაურბის, არ ცდოლობს... ქებას ეჭვის თვალით უყურებს: „კითომ?“... „ძალიან კარგი“... „შეიძლება!“...

„ოქვენზე უფრო მე ვარ უკმაყოფილოო“ – ეტყვის კრიტიკოსს... ეს პასუხისმგებლობაა, მოთხოვნილებაა საკუთარი თავისადმი: პრეტენზია... დიახ, პრეტენზია საკუთარი თავისადმი, რათა „მოთხოვნა იყოს უპრეტენზიო“. ესეც დავით კლდიაშვილისული შეფასებაა მხატვრული ნაწარმოებისა („მემუარებში“ წერს): „ყმაწვილი კაცის, ვინმე კალანდაძის მოთხოვნა მიუტანეს ვრივოლ ვოლსკის. მოთხოვნა იყო პატარა, მოკლე, დაწერილი პრეტენზით...“ როგორც ჩანს, ასე სწამს მწერალს – მომთხოვნელობა, პრეტენზია საკუთარი თავისადმი არის აუცილებელი წინაპირობა იმისა, რომ მოთხოვნა იყოს უპრეტენზიო...

### „არ გავრუსდები!“

1880 წლის ზაფხულში დავით კლდიაშვილი პირველად შეხვდა აკაკი წერეთელს. დავითი მოსკოვში გასამგზავრებლად ემზადება: კიევის სამხედრო გიმნაზია დაამთავრა პირველი ხა-

რისხით და მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში გაიგზავნა სახელმწიფო ხარჯზე.

აკაკის გააცნეს ყმაშვილი კაცი. აკაკის ამბავი გამოუკითხავს. მკითხა, „თუ სად ვხწავლობდი, სად მივდივარ და ამგვარები... ძე ვუთხარი, – იგონებს დავითი, – რომ კიდეში ვხწავლობდი და ახლა მოსქოვში მივდივარ სამხედრო სახწავლებელში.

— გარუსების დასამთავრებლად?! — მხარული სიცილით მითხრა აკაკიმ.

— არა, არ გავრუსდები! — მივუგე.

— ვნახოთ, ვნახოთ! — ისევ სიცილით მითხრა მან...“

„არ გავრუსდები!“ — ეს არ იყო სიტუაციური პასუხი. ეს მისი დიდი ხნის დარღის ამოძახილი იყო; მისი რწმენა და იმედი...

გავიხსენოთ: 9 წლის ბავშვი ოჯახს მოაშორეს და კიევში გაგზავნეს სამხედრო გიმნაზიაში. 1872 წელი იყო. იმდრო-ინდელი იმპერიული პოლიტიკა იყო ასეთი: ყოველწლიურად მთავრობა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან თავად-აზნაურთა 40-40 ბავშვს გზავნიდა რუსეთის სასწავლებლებში. ეს მიზნობრივი ღონისძიება იყო: „მიჰყავდათ ისინი იმ მიზნით, რომ გაერუსებინათ — ამას დავითი იგონებს, — და კოდევაც მიზანს აღწევდა-ხოლმე, რაღვან რუსეთში, სამშობლოს მოწყვეტილი ბავშვი ივიწყებდა ქართულ ენას, ზნეს და ბრუნდებოდა ქართული გვარით, მაგრამ ერთიანად, თავიდან-უეხებამდე გარუსებული...“

იცოდა ეს აკაკი წერეთელმა და ამიტომ პკითხა, „გარუსების დასამთავრებლადო?“

იცოდა ეს დავით კლდიაშვილმაც და ამიტომაც იმეორებს ჯიუტად, „არ გავრუსდებიო...“

გავიხსენოთ: კიევში 8 წელი სწავლობდა. პირველი სამი წელი ისე გავიდა, სამშობლოში არ ჩამოსულა, მშობლები არ

უნახავს... დავითის მთავარი საფიქალი დედაენაა; საოცრად პე-  
თილი, სათნო, დიდბუნებოვანი დედის მონატრუბაზე არც საუბ-  
რობს დავითი მემუარებში; არც იქაური მკაცრი რეჟიმი ადარ-  
დებს ძალიან: „ჩვენი მწუხარება სხვა რამ იყო. ეს იყო –  
ჩვენ ვატყობდით ჩვენ თავს, თუ როგორ გვავიწყდებოდა მშობ-  
ლიური ენა, გვიძელდებოდა ქართული ლაპარაკი; ამით შეწუ-  
ხებულნი, ამის ასაცილებლად მოვიყრიდით ხოლმე თავს ერ-  
თად და ხან ზღაპრების მოყოლით, ხან წაკითხვით კვარჯი-  
შობდით, მავრამ დროს თავისი მიჰქონდა და ჩვენ უფრო და  
უფრო გვიძელდებოდა მშობლიურ ენაზე ლაპარაკი. წლის  
ბოლოს თითქმის გადავეჩვით ქართულ ლაპარაკს...“

სამი წლის შემდეგ ჩამოდის არდადეგებზე სამშობლოში  
და... დედას თარჯიმნის მეშვეობით ელაპარაკება: „ქართული  
უკე დავიწყებული მქონდა... და რადგან დედაჩემმა რუსული  
არ იცოდა და მე ქართული – ამიტომ წავიყვანე თარჯიმნად  
ჩემი თანატოლი ბიძუშვილი და წავედი სოფელში დედასთან...“

და იწყება თავდადებული ბრძოლა „გარუსების“ წინააღ-  
მდეგ. „ამ ზაფხულში გვარიანად გავიხსენე ენა და როცა გა-  
ვძრუნდი გიმნაზიაში, თან წავიდე პატარ-პატარა წიგნები...“

გიმნაზიის პერიოდზე საუბრის დროსაც ეს თემაა მთავა-  
რი დავითისათვის – როგორ ებრძვის პატარა ქართველი გა-  
რუსებას; როგორ ეწაფება ყოველივე ქართულს; როგორი მად-  
ლიერებით იხსენებს ყველას – ნიკო ლომოურსა თუ გიორგი  
საძაგლიშვილს (შემდგომ კათალიკოსი კირიონი) და სხვებს –  
ვისი მეშვეობითაც იქმნის ქართულ გარემოს... „მეძნელებოდა  
კითხვა, მავრამ ჩემს თავს ძალას ვატანდი და ისე ვერეოდი  
საკითხავხო“, – იტყვის მოკლედ... ძალს კიევური გიმნაზიური  
ცხოვრებაა, ძალს – დავითი და რვა წლის შემდეგ „იმ ორ-  
მოცდაორ ბავშვში, ერთად რომ წავიყვანეს, გიმნაზია მხო-  
ლოდ უქსება დავაძიავრეთ. სამა სრულიად ქართული აღარ

იცოდა, ერთი ძლივს ახერხებდა და ლაპარაკი, რომ იტყვიან  
ჩიქორთული, ორს შევვეძლო...“

აი, სწორედ ეს „ჩიქორთულად მოსაუბრე“ დავითი გააც-  
ნეს აკაკის...

ეს განცდა („ჩიქორთულად“ მოსაუბრისა) გასდევს მის  
ბათუმურ ცხოვრებას და თავს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს  
დამნაშავეა დედაენის წინაშე (შეიძლება სწორედ ამიტომაც  
დახარა თავი პეტრე უმიკაშვილის საყვედურზეც)... ყოველ-  
თვის თვითკრიტიკულია, დაუნდობელი საკუთარი თავის მი-  
მართ... იტყვის, „ჩემი ჩიქორთული ქართული მეტად მიჭირ-  
ვებდა საქმესო...“

დიდი მადლიერებით იხსენებს ბათუმის პოლიცმეისტე-  
რის, დურმიშხან უურულის, მეუღლეს – ქეთევანს. „ქეთევანმა  
პირველგაცნობისთანავე მისაყვედურა, რომ ქართული ძლივს  
მეხერხებოდა და დედისებური დარიგება მომცა, მშობლიური  
ენა შემჟღავლა...“ ეხმარება ქეთევანი... დავითი მონაწილეობს  
თეატრალურ წარმოდგენაში; გიორგი ერისთავის „გაყრაში“  
გაბრიელის როლი დაკისრეს, „ჩიქორთულის“ დასაძლევად,  
ენის გასატეხად ქეთევან უურული ცალკე რეპეტიციებს უნიშ-  
ნავს დავითს. – „ჩაძაჯენდა სავარძელში ქეთევანი და მათქმე-  
ვინებდა როლს. ერთი ათჯერ, თხუთმეტჯერ უნდა ვამეტორე-  
ბინა ჩემი მონოლოგი; გაწვალებული ვიყავი ასეთი სწავლით,  
მაგრამ არანაკლები გაწვალებული იყო ჩემი მასწავლებელი,  
რომელიც შემომბახებდა ხანდახან მოთმინებადაკარგული: „არ  
შეიძლება ასე, ყმაწვილო, უნდა ისწავლო ქართული, ქართვე-  
ლი ხარ!“... ეს შეძახილი იქცა ჭაბუკის ყოველდღიურ საფიქ-  
რალად... ყოველივე ამას დავითი სიბერის ჟამს დიდი მადლიე-  
რებით იგონებს... – „ძალიან მოწადინებული ვიყავი, მესწავლა  
ჩემი ენა, მეტად მწყდებოდა გული, მაგრამ წარმატებაში ნე-  
ლის ნაბიჯით შევდიოდი...“

მერე გოგია დიაკვანი ათამაშეს დავით ერისთავის „სამშობლოში“... იტყვის – „ახლა წარმომიდგენია, რა კოგია ვიქნებოდი ქართულის უხეირო ძოლაპარაპე...“

ეს ცალკე თემაა, მაგრამ ბარემ აქვე შევნიშნოთ: რა როლი ენიჭებოდა თეატრს ქართული სალიტერატურო ენის დაცვასა და განვითარებაში. სცენიდან სწორი ქართული უნდა ისმოდეს – ეს მთავარი დევიზი იყო XIX საუკუნისა; თეატრი იყო ერთადერთი საჯარო ტრიბუნა სწორი ქართულის პოპულარიზაციისათვის... თეატრალურ რეცენზიებში ჩვენი კლასიკოსები უპირველესად იმაზე აკეთებდნენ აქცენტს, როგორი ქართული ისმოდა სცენიდან...

ეს დედაქნის მიმართ დიდი პასუხისმგებლობის გამოვლენაა დავით კლდიაშვილისაგან (და სხვათაგან)... არასოდეს გამოუხატავს თვითკმაყოფილება...

არ ვიცი, რამდენად მართალი ვიქნები, მაგრამ აქ ერთი ფაქტის მოშევლიება მსურს ლევან ბრეგაძის წერილიდან („რატომ წერს მწერალი“): გერმანელ მწერალ გიუნტერ კურნტს უთქვამს: „რატომ წერს მწერალი? ფსიქოანალიზმა ეს საიდუმლო აძლისნა: წერა ნაკლის („შიდაფსიქიკური დეფიციტის“) კომპენსაციაა, მორჩა და გათავდა, ბასტა!“ – დავით კლდიაშვილს მუდმივად ჰქონდა შეგრძნება, ქართული არ იცოდა ისე, როგორც უნდა სცოდნოდა (შიდაფიქიკური დეფიციტი!)... და წერდა...

„არ გავრუსდებიო“ – პირობა მისცა დიდ აკაკის და „ვაუკაცურად შეასრულა დანაპირები. გარუსდა კი არა და გამორჩეული ქართველი დარჩა“ (მაკა ჯოხაძე).

საინტერესო პარალელი:

როცა „დედაქნაზე“ და მისი პირველი გაკვეთილის – „ია. აი ია“ – გენიალობის შესახებ საუბრობდნენ, იაკობ გოგებაშვილი თავს დახრიდა და იტყოდა, „ეს უნდა მიეწეროს

ქართული ენის ღირსებასა და არა ჩვენს ოსტატობასათ“. ეს დიდბუნებოვანი ადამიანის განმარტებაა.

დიდბუნებოვანი ადამიანი იყო დავით კლდიაშვილიც. საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს მაკა ჯოხაძე: „**ამას**, რომ არ გადარუსდა, დავით კლდიაშვილი იძროინდებული კიუვის უნივერსიტეტის სტუდენტებს – ნიკო ლომიურს, პოლიკარპე ჩხიკვიშვილსა და ფარმაცევტ კოწია ლორთქიფანიძეს მიაწერს.

**ამას**, რომ მუნდირში გადაცმულმა ოფიცერმა არ შეასრულა მეფის ბრძანება და, გთორგი ზდანუკიჩის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამ გმირის გუნდს არცერთი ტყვია არ გაუსროლია...“ ამას ბედისწერას უმაღლის დავით კლდიაშვილი...

ბრწყინვალე მოთხრობის „სამანიშვილის დედინაკვალის“ გამარჯვებასაც კი თავის მეგობარს გადააბრალებს...

პირების ტრიუმფალურ ზემს ლადო მესხიშვილსა და მსახიობებს უმაღლის“...

მართლაც დიდბუნებოვანი ადამიანი იყო დავით კლდიაშვილი!...

## ენა – პიროვნების მახასიათებელი

დავით კლდიაშვილს თავისი უფროსი თუ უმცროსი კოლეგებისაგან განსხვავებით ქართული ენის შესახებ ტრაქტატები არ დაუწერია; არცერთი კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილი და მაინც – დავით კლდიაშვილის დამოკიდებულების შესახებ დედაენისაღმი ბევრი რამ შეიძლება ითქვას. მირითადი წყარო მწერლის მემუარებია – „ჩემი ცხოვრების გზაზე“.

მთელ წიგნს მემუარებისას ნათელ ხაზად გასდევს დედაენისადმი მწერლის დამოკიდებულება – ბავშვობიდან მოყოლებული ცხოვრების ბოლომდე.

„მემუარებში“ უამრავი პერსონაჟია; ზოგჯერ გაგაოცებთ კიდეც დავითის მეხსიერება: ხანდაზმული მწერალი („მემუარე-

ბი“ 1925 წელს დაიწერა) რა სიზუსტითა და გულმოდგინებით, რა სიყვარულით იხსენებს ყველას, ვინც ცხოვრების გზაზე შეხვედრია; როგორ ცდილობს, თითოეული მათგანის სასიათი, ბუნება, სახე წარმოაჩინოს...

დავით კლდიაშვილი არ ამახვილებს ყურადღებას პიროვნების გარეგნულ მხარეზე, გარეგნულ სიმშვენიერეზე. მისი აზრით, ადამიანის სილმაზე, სიმშვენიერე, მომხიბვლელობა მის ენაშია, მის საუბარში – როგორი მოქართულეა, როგორი მოსაუბრეა, როგორი ხმა აქვს...

**ენა აღამაზებს ადამიანს:** კიტა აბაშიძეზე წერს ერთვან – „კიტა მეტად ლამაზი იყო მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში...“ სხვაგან – „ამ აღელვებულ საზოგადოებაში საოცარი ლამაზი იყო კიტა, მის მიერ ნათქვამი სიტყვით...“

როცა გვაცნობს პიროვნებას, როცა იწყებს საუბარს მასზე, უპირველესად სწორედ ამას მიაპყრობს ყურადღებას – ხმა, საუბარი, ენა...

რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ ახასიათებს პიროვნებებს:

**გაბრიელ ეპისკოპოსი – ტკბილი მოუბარი;**

**აკაკი წერეთელი – განსხვავებული ტკბილი ხმით მოლაპარაკე; ლამაზი, შნოიანი, წარმოსადეგი პოეტი თავისი ტკბილი ხმით;**

**გრიგოლ ვოლსკი – ზედმიწევნით მცოდნე ქართული ენისა... სიტყვა ბასრი, ენამახვილი, იგი მშვენიერი რამ იყო რისხვის წუთებში... მან მშვენივრად იცოდა ქართული... სასიამოვნო მოსაუბრე იყო ყოველ შეკრებილობაში...**

**ნიკო ლომოური – ტკბილმა, ალერსიანმა ლაპარაკის კილომ, ლომაურის ლამახასიათებელი თვისება რომ იყო... თავისი ტკბილი ხმით წაგვიკითხა...**

**ივანე ჯაგახიშვილი – თავისი ტკბილი ხმით იგი ამ დროს ყვებოდა სინას მთაზე მოგზაურობის ამბავს... სასიამოვნო იყო ჩვენი მასპინძლის ტკბილი ლაპარაკი...**

**ლადო მესხიშვილი** – საოცარი ლამაზი, ტკბილი ხმა ჰქონდა...

**მაკო საფაროვა-აბაშიძესა** – საუცხოო კილოზე მოლაპარაკე... მშვენიერი წკრიალა ხმა ჰქონდა...

**ლუკა ასათიანი** – მშვენიერი სიტყვის პატრონი... მიყვარდა მისი მუსაიფის მოსმენა... მისი ენამახვილიანი ლაპარაკი...

ეს ცნობილი პიროვნებების შესახებ... ასეა სხვა, უბრალო ადამიანების შემთხვევაშიც:

**ალი აღა-სირაძე** – იგი განთქმული იყო თავისი ენამახვილობით მთელ აჭარაში. იგი გასაოცარი მოქართულე იყო, მშვენიერი მოლაპარაკე და საოცარი სიტყვამოსწრებული...

**მუსტაფა ბექირ-ოღლი** – მუსტაფა ისეთნაირად ლაპარაკობდა ქართულს, ისეთი ლამაზი გამოთქმებით, რომ ხშირად განგებ ავალაპარაკებდით, რომ მისი მშვენიერი ქართული მოგვესმინა...

**ჰასან დიარ-ოღლი** – მისი ქართული ლაპარაკი გასაოცარი რამ იყო – ეს ნამდვილი მუსიკა იყო; ამასთანავე ენამახვილი, სიტყვამოსწრებული...

**ბუკინისტი სპირიდონ ჭელიძე** – საკმარისად ენამეტყველი... ახალგაზრდა თავისი ტკბილი სიტყვით...

ოჯახის წევრებსა და ახლობლებსაც ასე ახასიათებს:

**ბაბუა (ნიკო ღოღობერიძე)** – დინჯი, დარბაისელი, განსხვავებული მოლაპარაკე...

ბებია – ჩუმი, მოკლე ლაპარაკს ჩვეული...

თედორია პაპავა – თავისი ხალისიანი ენით...

**დათიკა გიორგაძე** – რიხიანი ხმით მოლაპარაკე, მხიარული ადამიანი...

**სიმონა აშოლტია** – ფხიზელი გონების პატრონი, ჭკვიანი, მშვენიერი მოლაპარაკე...

**ლევანი სირბილაძე** – მოხერხებული ენის პატრონი იყო...  
რიხიანი ხმით მოლაპარაკე...

ზოგჯერ სიტუაციიდან გამომდინარე თითქოს არც იყო  
აუცილებელი იმის აღნიშვნა, როგორი მოსაუბრე, როგორი  
მოქართულე იყო ესა თუ ის პირი... მაგრამ არა, დავითისა-  
თვის ეს აუცილებელია; უფრო სწორად, პიროვნების დასახა-  
სიათებლადაა აუცილებელი, მისი აზრით... პიროვნება, ვინც არ  
უნდა იყოს იგი და რაც არ უნდა ხდებოდეს მის თავს, ამ  
შტრიხის გარეშე წარმოუდგენელია...

როგორც ვთქვით, დავითი ყოველთვის ძალიან კრიტიკუ-  
ლი იყო საკუთარი თავის მიმართ; „ჩემი ჩიქორთული ქართუ-  
ლი მიჭირვებდა საქმეს“... „ლაპარაკი, რომ იტყვიან, ჩიქორ-  
თული, ორს შევვიძლო...“ „ქართული ენის უხეირო მოლაპა-  
რაკე...“ – ესეც თავის თავზე თქვა...

დავითს თუ არ მოსწონდა ვინმეს საუბარი, ქართული,  
ამასაც ამბობდა. პიროვნულად უყვარდა ალექსანდრე ყაზბეგი,  
მაგრამ არ მოსწონს მისი საუბარი: „ლაპარაკიც კი შნოიანი  
არ იცოდა...“ ეუბნებოდა თურმე: „სანდრო, თუ გიყვარდე, შე-  
ნებურად ჩუძად წერე და ხმამაღლა ლაპარაკს თავი დაანე-  
ბეო...“

ვიღაცა რომ არ მოსწონდა, მისი „ლამაზი“ საუბარიც  
ცუდად ეჩვენებოდა; შინაურ კაცზე ამბობს, შოშიელა კინჭრი-  
აშვილზე – „კაცი ეშმაკი, გაიძვერა, მოქარგული ენით მოლა-  
პარაკე...“ „მოქარგული ენა“ – არაგულწრფელი, არაბუნებრი-  
ვი, არამართალი ენაა...

არადა უხვია ეპითეტების დარიგებაში. ვთქვათ, მისი შე-  
ფასებით:

**ქართული ენა** – საუცხოო, არაჩვეულებრივი ლამაზი,  
შნოიანი, საოცარი ლამაზი, მშვენებით სავსე, სიმშვენიერე  
ქართულისა, სიძლიერე ქართულისა, მშვენიერი ქართული...

**ხმა** – წერიალა, მშვენიერი; განსხვავებული ხმა; ლამაზი, ტკბილი;

**სიტყვა** – ტკბილი, მშვენიერი, მოხერხებული, ჩუმი, მოკლე; ალერსიანი;

**ენა** – ხალისიანი, ტკბილი...

**ლაპარაკე** – შნოიანი, უხეირო, განსხვავებული, ლამაზი...

**მოლაპარაკე** – გატაცებით, უხეირო, განსხვავებული ტკბილი ხმით, რიხიანი ხმით, მშვენიერი, ტკბილი მოუბარი, სასიამოვნო მოსაუბრე, ნამდვილი მუსიკა, გასაოცარი მოქართულე, საოცარი სიტყვამოსწრებული...

ეს არ არის ყოველივე... მაგრამ ფაქტია: ქართული ენისადმი, ქართული სიტყვისადმი, ქართული საუბრისადმი დავით კლდიაშვილის დამოკიდებულება განსაკუთრებულია... ასეთი განცდა, ასეთი გულწრფელი დამოკიდებულება, ასეთი გულითადი გულშემატკივარი ქართული ენისა სხვა ნაკლებად მეგულება.

ამითაცაა დიდი დავით კლდიაშვილი...

## ლექცია ქართულ ენაზე

ჩვენ ვთქვით, დავით კლდიაშვილს კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები არ დაუწერია ქართული ენის შესახებ-თქო, მაგრამ ის მონაკვეთი მემუარებისა, სადაც ქუთაისში გრიგოლ რობაქიძის გამოჩენაზეა საუბარი, აიწონის ათობით წერილს ზოგიერთებისას...

სამხედრო სამსახურის შემდეგ დავითი ქუთაისში იწყებს მოღვაწეობას. 1908 წელია. ბათუმის ცოცხალი და საინტერესო სამხედრო და საზოგადოებრივი ცხოვრების შემდეგ ქუთაისური სამოქალაქო ყოფა უფერულად ეჩვენება. „დაიწყო უფერული ცხოვრება“, – დაიჩივლებს... ცოტა უცნაურია ისიც, თუ როგორ შეხვდა ქუთაისი – ეს ნამდვილი ქართული ქალაქი – დავითს... უბრალო და თავმდაბალი მწერალი არ იწყებს

ჩივილს ამის გამო... მთელ იმ გაწამაწიაში ქართულის ბედი ადარდებს მწერალს... და იქვე იწყებს ვრცელ მსჯელობას, თუ როგორ გამოაცოცხლა ქუთაისი გრიგოლ რობაქიძის გამოჩენაში: „ამ ხანებში იყო ქუთაისში პირველი გამოსვლები საჯარო ღვეულებით რ. გ-ის“ (შევნიშნავთ: იმ გამოცემაში, რომლითაც ვსარგებლობ, ასე მიანიშნებენ გ. რობაქიძეზე. ამ თემაზე უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი...). და იქვე გულისტყივილი: „დაიდად ვწუხდით, რომ ღვეულორი ერიდებოდა ქართულად გამოსვლას და ვნატრობდით მოვსწრებოდით ქართულ ენაზე წარმოთქმულ ღვეულების...“ დავით კლდიაშვილისთვის ეს არ იყო უბრალო მოვლენა. მოვუსმინოთ: „ბევრი ამართლებდა ღვეულორს, ქართულად არ შეიძლება ამის ღვეულების გადმოცემა. ასე უკაცებობოდათ ამ ახლო წარსულშიაც ქართულად სიტყვის წარმოთქმა. საჯაროდ ქართულად მოლაპარაკე ათასში ერთი თუ გაძედავდა გამოსვლას; ჩვეულებად იყო ხოლმე ბოლოშის მოხდა – ქართული არ მეხერხებაო, ნება მიბოჭო რუსულად ვთქვა ჩემი სათქმელით!...“ აქ ალბათ ისიც გაგვანენდება, ქართული უნივერსიტეტის დაარსების მოწინააღმდეგეთა ერთი არგუმენტი სწორედ ის იყო, რომ ქართულ ენაზე საუნივერსიტეტო სწავლება ვერ აეწყობაო... ქართულ ენას ამის შესაძლებლობა არა აქვსო... სხვათა შორის, ცნობილი ნიკო მარიც ასე ფიქრობდა(!) და იმპერიის ხელისუფლებას რეგომენდაციას აძლევდა, თბილისში რუსული უნივერსიტეტი გავხსნათო...“

როგორც ვხედავთ, დავითის გულისტყივილი არ იყო გამოწვეული მხოლოდ რუსულად წაკითხული ამ ღვეულის გამო... ეს ქართული ენისადმი იმჟამინდელი დამოკიდებულებით მოგვრილი დარდი იყო... რა თემაზე წაიკითხა ღვეულორმა რუსულად ღვეულები, არც საუბრობს ამაზე დავითი... თურმე „რ. გ“-ს ღვეულებს „ხალხი თბილისშიც და ქუთაისშიც აუარებელი ესწრებოდა. გული გვტკიოდა, რომ ამ ხალხს ქართველი

**ლექტორი ქართულ სიტყვას არ ავონებდა, ქართულ სიტყვას არიდებდა...“**

და დავით კლდიაშვილის ინიციატივითა და აქტიურობით ვარლამ ბურჯანაძე და გიორგი თუთბერიძე მოუგზავნეს ლექტორს. „შევუთვალეთ – ლექციები ქართულად კათხნა. მე მამინ რ. გ-ს არ ვიცხობდი პირადად. მან შემოვვითვალა, რომ მალე ქართულად ვიწყებ ლექციებს, და მოქლე ხანში ასრულა კიდევ თავისი დანაპირება“.

ლექციის შინაარსობრივ მხარეზე მოკლედ მიანიშნებს – „მანსოვს პირველი მისი საჯარო ქართულად წაკითხული ლექცია. ლექცია იყო ბარათაშვილზე...“, „გაზეთები დადი ქებით იხსენიებენ ლექციის შინაარსს, ლექტორის ცოდნას...“, „ბარათაშვილის ლექციას მოყვა ლექცია ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელზე“, შემდეგ აკაკიზე...“

და აღტაცება არა მხოლოდ დავით კლდიაშვილისა, არა-მედ იმდროინდელი ქუთაისის საზოგადოებისა ლექციის ენით: „გაზეთებში დადი ქებით იხსენიებდნენ ლექციის შინაარსს, ლექტორის საუცხოო ქართულზე (ხაზი აქაც და შემდევაც ჩვენია – გ. გ.) საზოგადოების აღტაცება თანდათან მატულობდა. ლექტორის არაჩვეულებრივი ლამაზი ქართულის გამონე მსურველთა რიცხვი შესამჩნევად იზრდებოდა. უსმენიდნენ ლექტორს სულვანაბულნი და თავის ეურებს არ უჯერებდნენ, თუ ასეთი შეთიანი ქართულით შესაძლებელი იყო ლექციების კითხვა. ლექტორის საოცარი ლამაზი ქართული უსაზომოდ ხიბლავდა და იტაცებდა მსმენელს...“

იმდროინდელ ცნობილ საზოგადო მოღვაწეზე, პავლე თუმანიშვილზე, საუბრობს: „მოწუცი კაცი პირდაპირ აფრენილი იყო სიხარულით. – აი, ჩვენი ლამაზი ქართული, ლამაზი ქართული, რომელსაც ვივიწყებთ და ფასს არ ვსძებთ. – გატაცებით ამბობდა მოწუცი...“ და იქვე დაასკვნის მწერალი: „ასეთ აღტაცებას განიცდიდა მთელი საზოგადოება“.

იმდროინდელი კიდევ ერთი ცნობილი საზოგადო მოღვაწის, კოტე ბაქრაძის, აზრს გაგვაცნობს დაგითი:

„— სად იხვავლა ამ ოჯახდაქცეულმა ასეთი ქართული?! — გაიძახოდა აღტაცებული კოტე ბაქრაძე, ქუთაისში ცნობილი საზოგადო მოღვაწე. — გხიბლავს კაცს ამ შეჩვენებულის ენა. ვიძახით, არ მეხერხება ქართულით! უხეირო რო იქნები, ვერაფერს კერ მოახერხებ“... „არ ვიცნობთ არც ჩვენს ღიტერატურას, არც ენას, არც ჩვენ თავს! გადაგვარებაზე ვართ მოსული“, ჩვენი თავის აღარაფერი გვჯერა! ამასთანა ახალგაზრდები თუ მომრავლდნენ, უკედ ვამოცოცხლდეს!“

ცხადია, რასაც სხვას ათქმევინებს, ეს დავით კლდიაშვილის სათქმელიცაა. ეს საზოგადო აზრია, გვარწმუნებს... და ამას მოსდევს ქართული ენის უდიდესი ჭირისუფლის დასკვნა:

„თამამად ვამბობ, რომ რ. გ.-მ გამოაცოცხლა მაშინდელი ქართველობა; თავისი საჯარო ლექციებით ნათლად დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ ქართული ენა შვენებით სავსეა, რომ მისით მშვენიერად ვამოითქმება აღამიანის ყოველნაირი სულისკვეთება, ვამოიხატება მისი აზროვნება. ლექტორმა დაანახა ქართულ საზოგადოებას, ვადაგვარების გზაზე შეძღვარს, ქართულის სიმშვენიერე, სიძლიერე, — დაანახა და ვაიტაცა. მან დიდად დაავალა ქართველი საზოგადოება, მას კერ დაუკინგებს ქართველობა ამ დიდ ნამოღვაწარს...“

ამ სიტყვებს დავით კლდიაშვილი 1925 წელს წერს. ამიტომაც ამბობს: „დღეს ეს ზღაპრად გვეჩვენება, ასე კი იყო; დღეს ზღაპრად გვეჩვენება, როცა ჩვენ გვაქვს მშვენიერი უნიკერსიტეტი, სამაგალითო მუცნიერ-მუშაკებით სავსე; გუშინ კი — გვეცინებოდა, როცა ივანე ჯავახიშვილი სიტყვას ჩამოგვიგდებდა ქართულ უნივერსიტეტზე“... და სხვა...

სხვათა შორის, დედაენის პრობლემებით შეშფოთებულ მწერალს ასეთივე დიდი მნიშვნელობის ფაქტად მიაჩნია ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის გახსნა. მართალია, „საზოგა-

დოდ ეძნელებოდათ საჯაროდ ქართული ენით გამოსვლა, – სხვადასხვა საგნების კითხვა ხომ უარესი საძნელო გასაბედავი უნდა ყოფილიყო. ასედაც იყო, მაგრამ გარსევანიშვილმა არ მოუსვენა ლუქტორებად განზრახულ მოსაწვევ პირებს, აღია აღანთო ძათში გაჩაღებული ცაცხლის და... შესაძლებელი გახდა ქუთაისში გახსნილიყო სახალხო უნივერსიტეტი“... როგორც წერს, „ლუქტორებიც მშვენიერი ლუქტორები გამოდგნენ, მშვენიერი ქართულით ძოლაპარაკენ, ქართულის კარგად მცოდნენი...“

რა თქმა უნდა, საგნის ცოდნასაც ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ დავითისათვის მთავარი ქართული ენის ცოდნა იყო...

არც ის არის შემთხვევითი, ქუთაისში ვაჟა-ფშაველას სტუმრობას რომ აღწერს და განსაკუთრებულ ყურადღებას ვაჟას გულისწყვეტაზე რომ ამახვილებს აკაკის კრიტიკის გამო (ეს ამონარიდი ზემოთ მოვიყვანეთ....).

დავით კლდიაშვილისთვის ქართული უმთავრესია. არ მეგულება მეორე მწერალი, ასე რომ ეფერებოდეს, ასე რომ უყვარდეს და ასე ბოდიშებით რომ ესაუბრებოდეს ქართულ ენას...

ეს დავით კლდიაშვილია...

ესეც ვთქვათ: ქუთაისში რომ ქართული ენა ასე გაცოცხლდა, დავით კლდიაშვილი ამას ერთი რიგითი ქართველის პოზიციიდან აგვიწერს, არადა ამაში განუსაზღვრელია მისი დამსახურება. ქუთაისელი საზოგადოების ასეთი შემობრუნება ქართულისაკენ, ასეთი გააქტიურება დავით კლდიაშვილის დამსახურებად მიაჩნიათ... პვლავ მაკა ჯოხაძეს მოვუსმინოთ: „როგორ შეუნთო და როგორ გააფიცხა გრიგოლ რობაქიძის ისედაც ფიცხი წარმოსახვა დავით კლდიაშვილმა. როგორ შეათბო და შემოაბრუნა ქართული სიტყვისაკენ ზურგ შექცეული არისტოკრატია ერთბაშად...“

რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ, რომელი ერთი უნდა გავუხსენო ამ მომცრო ტანის ღირსეულ მოხუცს, მოელი სიცოცხლის განძავლობაში ფარად რომ ედგა თავისი ქვეყნის ღირსებას და მის დასაცავად დუღლიც კი ჯილდოსავით გამოსტყუა გადამთიერდას”...

დიდებული შეფასებაა!...

### **„შემოწეპილი“ სახელ-გვარები**

ერთხელ, რამდენიმე წლის წინათ, უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების პერიოდში, შესვენებისას საუბარი „სამანიშვილის დედინაცვალზე“ ჩამოვარდა. ერთმა ცნობილმა მწერალმა-მეცნიერმა ღიმილით თქვა, ეს მოთხოვობა სიმამრმა, პავლე მაჭავარიანმა, სიტყვასიტყვით უამბო დავითს... ვინმე რომ მიამბობდეს, მეც დავწერდი ასეთ მოთხოვობასო...

ეს ამბავი გამახსენდა მოგვიანებით, როცა „სამანიშვილის დედინაცვლის“ პირველი ვარიანტის ხელნაწერი ვნახე ლიტერატურის მუზეუმში. ბოლო ვარიანტთან ისეთივე სხვაობაა, როგორიც ცასა და დედამიწას შორის. ვარიანტის სათაურია „ძილი მოსვენებაა“. სერგო კლდიაშვილის მინაწერი აქვს: „სამანიშვილის დედინაცვალი“-ს პირველი ვარიანტი ვიპოვე სიმონეთში დედაჩემის არქივში. ს.კ.“ ვინც ამ ვარიანტს (და საერთოდ დავითის ხელნაწერებს) ნახავს, მიხვდება, თუ როგორ მუშაობდა დავით კლდიაშვილი მოთხოვობაზე. აიგებოდა ჩონჩხი, მოინიშნებოდა ძირითადი ხაზი და, როგორც ჩანს, მერე იწყებოდა ჯოჯოხეთური მუშაობა ტექსტზე...

პავლე მაჭავარიანის დამსახურებაზე თავად დავითი მიანიშნებს მემუარებში: „კვანძი, ძარღვი მოთხოვობის მოცემულია იმ საუბრებით, რომელიც მქონდა ხოლმე ჩემს სიმამრთან – პავლე მაჭავარიანთან“... მოთხოვობის გამოქვეყნების შემდეგ უთქვაშს პავლე მაჭავარიანს – „ვერა ხარ კარგი კაცი. ამ მოთხოვობაზე უნდა მივეწერა: მოთხოვობა დავით კლდიაშვილის

და პავლე მაჭავარიანის... – ხუმრობით მუუბნებოდაო მოთხრობით ნასიამოვნები ძოხუციო...“

სერგო კლდიაშვილი: „პავლე მაჭავარიანს ნაამბობი აქვს დავითისათვის მხოლოდ ის ამბავი, თუ რა მიზეზით გამოუყოფანებს (გეინას პროფოტიპს – გ. გ.) თავისი უფროსი ვაუ. სწორედ ეს ამბავი დაამუშავა დავითმა პირველ ვარიანტში, რომელსაც ეწოდება „ძილი ძოხუცენებაა“. ჩემს ხელო იყო კიდევ მეორე ვარიანტი სახელწოდებით „სიზმარი“, რომელსაც იხსენიებს ავტორი თავის ძემუარებში. „ძილი ძოხუცენებაა“ დათარიღებულია 1895 წლის 17 ივნისით, ხოლო „სიზმარი“ აღნიშვნული იყო 1896 წლით. „სამანიშვილის დედინაცვალი“-ს საბოლოო ვარიანტი, რომელსაც ჩვენ დღეს ვიცნობთ, დაიბუჭდა „ძმამბეში“ 1897 წლის იანვრის ნომერში.“ ასე რომ, რამდენიმე წლის განმავლობაში იწერებოდა და მუშავდებოდა მოთხრობა...

ტექსტოლოგი, ენათმეცნიერი, ლიტერატურისმცოდნე ბევრ საინტერესოს იპოვის, თუ ხელნაწერთა ვარიანტებს შეაჯერებს. არადა, ზოგი ნაწარმოების 2-3 ვარიანტია შემორჩენილი. ჩვენ რამდენიმე შენიშვნას გავაკეთებთ „სამანიშვილის დედინაცვლის“ მიხედვით.

უპირველესად ისაა საინტერესო, რომ დავითი წერდა ფურცლის ერთ (მარჯვენა ან მარცხენა) ნახევარზე. მეორე ნახევარი სუფთა იყო – შენიშვნებისათვის, ჩასწორებებისათვის, ვარიანტებისათვის. ზოგჯერ ძირითადი მხარე მთლიანად გადახაზულია და სათადარიგო – შევსებული. ჩასწორებები ძირითადად ტექსტობრივი ხასიათისაა; ამ ვარიანტში ენობრივი დაზუსტებები, ჩასწორებები იშვიათია. ეს ის ვარიანტია, დავითი რომ იტყვის, „გადმოვიდე ქადალდი და გატაცებით ვიწყე წერა, წერა გაცხარებული. ეს მუშაობა კი არ იყო, იყო უმაღლესი სიამოვნება. ამგვარივე გატაცებით ნაწერია „სამანიშვილის დედინაცვალი“...

ამ ვარიანტში ხშირია ისეთი ენობრივი ფორმებიც, რო-  
მელსაც ძირითად ვარიანტში გერ შევხვდებით. მაგალითად:  
„ამ სიტყვებთან ძელანო **გევიდა** სამჩარეულოში. არჩილმა კი  
**გეიხადა** ჩოხა, შეიხსნა ახალუხხის ღილები, **გეიხადა** თავისი  
წუდები და დაღლილ-დაქანცული მიწვა იქვე, საღაც ამს წი-  
ნად მის ცოლს ეძინა“: ამ ნაწყვეტში რამდენიმე ფორმაა (გე-  
ვიდა, გეიხადა, წინად და სხვა ენობრივი ლაფსუსი), რომლე-  
ბიც ჩვეულებრივ არ გვხვდება კლდიაშვილის მოთხრობებში  
ავტორისეულ რემარკებში... სხვაც შეიძლებოდა თქმულიყო ამ  
ხელნაწერზე, თუმცა ეს სათქმელი ტექსტოლოგებს მივანდოთ.

ერთს ვიტყვი. ამ ვარიანტის სათაურია „ძილი მოსვენე-  
ბაა“. ამ ვარიანტში ძირითადი პლატონის სიზმარია (მეორე  
ვარიანტი „სიზმარი“, როგორც სერგო წერს, ახლოსაა პირ-  
ველ ვარიანტთან...); ეს ის ვარიანტი ჩანს, დავითი რომ წერს  
მემუარებში: „მოამბე“-ს რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია წე-  
რილს წერილზე მიგ ზავნიდა, უურნალისთვის უსათუოდ რამე  
გამომიგ ზავნეო. იმხანად მქონდა პატარა ნაწყეტი, რაც „სამა-  
ნიშვილის დედინაცვალშია“ – „პლატონის სიზმარი“... ამის ვა-  
გზავნას ვაპირებდი და კონდრატი მხეიძემ არ ვამგ ზავნინა,  
„შენ ისეთ რამეს ყვები, რომ თუ არ აჩქარდები, მშვენიერი  
მოთხრობა იქნებაო“... პოდა ამ ვარიანტს პქვია „ძილი მოსვე-  
ნებაა“. ერთი ასეთი რეპლიკა ვარიანტში „ძილშიც კი მოსვე-  
ნება აღარ გაქვთო“ – მამა ეუბნება პლატონს სიზმრის შემ-  
დეგ... მერე შეიცვალა სათაური – სხვა რამ განდა მთავარი...

აქ ერთ ძალიან საინტერესო ფაქტს მინდა მივაპყრო  
მკითხველის ყურადღება – პერსონაჟთა სახელ-გვარებს.

დავით კლდიაშვილთან არა გვაქვს ე. წ. მეტყველი სა-  
ხელ-გვარები, როგორიც ე. ნინოშვილთან (მუნჯაძე, უიშვილი,  
ძალაძე, დროიძე...), ან გ. წერეთელთან (ფულავა, წარბა, ჯი-  
ბიაშვილი...). თითქოს ჩვეულებრივი, იმერეთში გავრცელებული  
სახელ-გვარებია:

პლატონი, კირილე, არისტო, ჯიმშერი... მელანო, დარიკო, ელენე... თითქოს სახასიათო სახელია ბეკინა, მაგრამ არც მთლად „მეტყველი“. გვარებიც თითქოს ჩვეულებრივია: სამანიშვილი, მიმინოშვილი, სალობერიძე, ბრეგაძე... ასე რომ, პერსონაჟისათვის სახელ-გვარის შერჩევას თითქოს რაიმე პრინციპული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ არ ჩანს ასე:

პირველ ვარიანტში ბეკინას ბეჭანი ჰქონდეს.  
პლატონს – არჩილი,  
დარიკოს – ქრისტინა.

კირილეს ნაცვლად ლევანია გამოყვანილი  
(მაზლი დარიკოსი)...

**სამანიშვილები** **სანებლიძეები** არიან. არადა, თითქოს ორივე გვარი ჩვეულებრივი იმერული გვარია... ჩვეულებრივი სახელებია **პლატონი** და **არჩილი**, **დარიკო** და **ქრისტინა**, კირილე და ლევანი... თითქოს რაღაც „სახასიათო“ სახელია ბეკინა, თუმცა მაინც გაუშვირვალეა (არადა, ბეკინას პროტოტიპს კიმოთე რქმევია, ალბათ ასეთივე „სახასიათო“ – სერგო კლდიაშვილი იგონებს).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია სერგო კლდიაშვილსაგან: „ქამუშაძის გაჭირვების“ ხელნაწერი არ შენახულა. გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ფურცელი... ეს ფურცლებიც ადასტურებენ, რომ მოთხრობის რამდენიმე ვარიანტი არსებულა. მაგალითად ერთ ხელნაწერში მომავალ ეკვირინეს ჰქია „ეფემია“, მეორეში „ბარბალე“, ხოლო ნაწარმოებს პირველ სათაურად ჰქინია: „გამოსაცვლელი ცხოვრება“... ეკვირინე – ეფემია – ბარბალე... ქამუშაძე – ქამუშაშვილი... ქამუშაძის გაჭირვება – გამოსაცვლელი ცხოვრება... რა შეიძლება ვთქვათ? რა არის მოტივი ამგვარ ცვლილებათა?..

საინტერესო მოგონებას გვთავაზობს ისევ სერგო კლდიაშვილი:

„საიდან წარმოდგა გვარი „მორბელაძე“:

— სოფელში ჩავდი დედაქემის სანახავად, — მიამბობს მამა. — ოთახში ვზიგარ! მესმის დედა აიგნოდან ვიღაცას ელაპარაკება. მეც გავედი. ეზოში, აივნის წინ, შეა ხნის მამაკაცს ვხდავ. ცხენზე ორი მორჩილა ტომარა შემოუკრავს და თოთონაც ჯდება. — ვინ იყო? ვკათხე დედას, როცა უცნობი წავიდა: „ სიმინდი ითხოვა, შეიღო, მორბედაძეა დაბლა კუთხიდან... მოთხრობა მოფიქრებული მქონდა, ოღონძ გვარი ვერ მოვნახე და ეს მაწვალებდა. წერას მიშლიდა. ეს გვარი მეოცა რატომლაც, „მორბედაძე“ შეცვალე „მორბელაძე“, გვარმა სახელიც მოათრია და ამის შემდევ მოთხრობაც ადვილად დაიწერა. მუშაობა კი არა, უდიდესი სიამოვნება იყო!“

ერთი შეხედვით, ცვლილება თითქოს ფონეტიკური ხასიათისაა, კეთილხმოვნების პრინციპით ნაკარნაზევი... თუ რაიმე სემანტიკური ასოციაცია ჩნდება? შეიძლება ვიფიქროთ, რომ „მორბელაძე“ ვითომ სირბილთან ასოცირდება? „სოლომანი“ რატომ „მოათრია“ მორბელაძემ? რა აქვს ამ სახელ-გვარს ისეთი, ამ პერსონაჟს ასე რომ შეესაბამება? — მნელი კითხვაა; ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის ამოუხსნელია...

როგორც ეტყობა, ასე ექნებოდა ნაფიქრი ბეჭან და არჩილ სანებლიძეებზეც, როცა პატარა ესკიზს — „ძილი მოსვენებაა“ (და მის ვარიანტს „პლატონის სიზმარს“) — წერდა. მერე, როცა გეგმა შეაცვლევინეს და მოზრდილი მოთხრობა დაიწერა, ვითომ მაშინ გახდა აუცილებელი პერსონაჟთა სახელ-გვარის შეცვლა? ანუ: მოკლე მოთხრობის ბეჭან სანებლიძე ვრცელი მოთხრობის ბეჭინა სამანიშვილად იქცა?.. მნელი სათქმელია...

მოთხრობა „წრფელი გულის“ პერსონაჟი ბაბო პირველ ვარიანტში სარალიძე იყო, საბოლოოში გარაფანიძედ შეცვალა...

პერსონაჟის ბუნება-ხასიათთან სახელ-გვარის შესაბამისობის საკითხი როგორ დგას დავითოთან? როგორც აზნაურები იტყვიან, სახელ-გვარი ტიპს „შემოწკეპილი“ უნდა პქნდეს,

ამშვენებდეს, კარგად მორგებული... დიახ, პერსონაჟს სახელ-გვარი საკუთარი უნდა ჰქონდეს, „ნათხოვარივით“ არ უნდა ჩანდეს...

**ძცირე გადაწევა:** ავტობიოგრაფიული ნოველების წიგნს („ჩემი ასავალ-დასავალი“) ოჭია ოსელიანმა ანოტაცია წარუმძღვარა, რომელსაც „თავისმართლება“ დაარქვა. ასეთ რამეს წერს: „ავტორი მშობლიურ სოფელს შეთხზულ სახელს არქმევს. დაბასა და ქალაქს, მინდორს, მთას, ტყეს და ძირინარეს – მოვონილს. არადა ზუსტად აღწერს იმას (გააჩნია რის შემძლებელია), როთაც გაიზარდა და ცხოვრობს, რა მიწამ და ცამ, გარემომ, ადამიანებმა, დრომ და ეპოქამ „ვამოჭედა“ მისი პიროვნება, ხასიათი, ძრტამსი, მსოფლიმხედველობა...“

მაშინ რა გაძოდის? უბრალოდ, პატარა ცოდვა: **ყველა-ფერს არ ჰქვია თავისი სახელი.**

ამ ჩემს ავტობიოგრაფიულ ნოველებსაც არავითარი პრეტენზია არა აქვს, გარდა ამ პატარა „ცოდვის მონანიშბისა“ – **ყველაფერს ერქვას თავისი სახელი.**“

...და ემებს მწერალი, რომ ყველას და ყველაფერს ერქვას თავისი სახელი...

კიდევ ერთი საინტერესო მოგონება სერგო კლდიაშვილისა:  
„— ლა ლა ლა ლა!...

დავითი რაღაც პანგს იხსენებს.

— რა მშვენიერებაა! ხომ გახსოვს ეს ადვილი კარმენიდან?

თურმე კარმენიდან მღერის. სმენა კარგი მაქვს, მავრამ დავითის ნაძლევრიდან ვერ მივხვდი, რა ადვილია. ყოველ შემთხვევაში „კარმენი“ აქ არ ისმის. რა კუყოთ მერე! მთავარია ის, რომ თვითონ გესმოდეს პანგი, შენში მღეროდეს ის.

უცებ დავითის ღრმა ამოოხვრა მესმის.

— საბრალო ბიზე! ჩემო ბიზე! ასეთ დიდებულ კაცს თავი მოაკვლევინეს. ყრუ იყო ხალხი თუ? ღა ღა ღა... რა შშვენიერია“...

როგორც ჩანს, დავითი კლასიკური მუსიკით, კერძოდ ოპერით, დიდად ყოფილა გატაცებული... „ეს აღტაცება ოპერით, საერთოდ მუსიკით, ბოლომდე შერჩა“... ანდა: „დავითს შეუძლია მთელი დღე მუსიკას უსმინოს. დახუჭავს თვალუბს და უსტებს“... — ამას სერგო იტყვის შემდეგ...

ზევით ვსაუბრობდით, პიროვნების ხმის ტონალობა, ტემბრი მთავარი პიროვნული მახასიათებელიაო დავითისათვის... ლაპარაკი კი არა, მუსიკა იყოო... — წერს ერთზე.

როგორც ჩანს, მას ესმის ის „მუსიკა“, სახელ-გვარიდან რომ „ისმის“... სწორედ ეს მიესადაგება, პერსონაჟის ბუნება-სასიათს... სახელ-გვარის შერჩევა მარტივად არ ხდება...

ისე ამ თვალსაზრისითაც დავითის ხელნაწერებისა და, საერთოდ, ნაწარმოებების შესწავლა საინტერესო მასალას გამოავლენს.

ალბათ ასეთი კითხვაც უნდა დაისვას და შეძლებისდაგვარად ვინმემ უპასუხოს (დაკვირვებაა საჭირო): დავით კლდი-აშვილთან თუ არიან სეხნია პერსონაჟები და მათს ბუნება-ხა-სიათში თუა რაიმე საერთო?...

დასკვნა?

შევძლებთ კი ყოველივე ამის ამოხსნას? — მეეჭვება... ეს იცის მხოლოდ მწერალმა... და შეიძლება არც მან... მხოლოდ იმან, „რაიც შთაგონებით გვწყალობს“ (ა. კალანდაძე)...

თუ მკითხველს არ გადავდლი, ორიოდე საინტერესო აზ-რსაც მოვიშველიებ:

ლევან ბრეგაძე წერს: „ტიციან ტაბიძისთვის რომ ეკითხათ, რატომ წერთო? — ალბათ ასე უპასუხებდა: „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“.

ეს რაღა არის?

რადა, დასტური იმისა, რასაც დიდი ფსიქოლოგი და ფსიქიატრი პ. გ. ოუნგი ექსტრავერტი მწერლების შესახებ ამბობს: „მათი ქმნილებანი მეტ-ნაკლებად დასრულებული ფორმით თავისუფლად გამოედინებიან ავტორის კალმის წვერიდან. (...) ნაწარმოებს თვითონვე მოაქმნეს თავისი განსაკუთრებული ფორმა; ყოველივე, რისი დამატებაც ავტორს სურს, ურიყოფა, ხოლო ის, რის წამლასაც მოინდომებს, კვლავ აღიდგენს თავს. (...) ავტორს ისეთი აზრებისა და სახეების ნაკადი ეძალება, რომელთა შექმნისგან ზრახვა მას არასოდეს ჰქონია (...). მას შეუძლია მხოლოდ დაუმორჩილოს ამ აშკარად უცხო შინაგან იმპულსს და გაპყვეს იქით, საითაც ივი მიუძღვის, გრძნობს რა, რომ მისი ნაწარმოები თვით მასზე მეტია და ფლობს ძალას, რომელიც მას (ავტორს) არ უკუთვნის და არ ექვემდებარება...“

ესეც გავიხსენოთ: ზულიო კორტასარს უთქვამს – „ჩემში დაბადების დღიდან ცოცხლობს მუსიკა და გამუდმებით ეძებს გამოსავალსო“... როგორც ჩანს, მწერლისთვის ერთ-ერთი გამოსავალი ესაა: მოძებნოს მისთვის და, საერთოდ, მუსიკალურად ეღლერადი სახელ-გვარი, ფრაზა, სიტყვა...

დავითს რომ ეს რაღაც შინაგანი მუსიკა (თავისი მუსიკა...) უკარნახებს თუნდაც ფრაზის აგებას, ამას ქვემოთაც ვნახავთ...

### **ლაპარაკობს კლდიაშვილის პერსონაჟი**

ჩვენ ამ მონაკვეთში გვინდა ვისაუბროთ დიალექტიზმების თაობაზე დავით კლდიაშვილის პროზაში. საანალიზოდ ძირითადად „სამანიშვილის დედინაცვალს“ ავიღებთ.

როცა დავით კლდიაშვილის ენაზე საუბრობენ, უპირველესად მიანიშნებენ იმაზე, რომ მწერალი ზშირად გამოიყენებს იმერიზმებს, „არაზომიერად“...

რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან სამეცნიერო ლიტერატურიდან:

„ქამუშაძის გაჭირვება“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“ მდიდარია იმერიზმებით, რომელიც უმეტესად ფონეტიკურ-ლექსიკური ხასიათისაა. გვხვდება ასიმილაცია-დასიმილაციის, რედუქცია-მეტათეზისის და სხვა ფონეტიკური მოვლენები“ (რ. შამელაშვილი). საერთოდ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ხშირია მწერლის ენის ანალიზის დროს ფონეტიკურ თუ გრამატიკულ მოვლენებზე ყურადღების გამახვილება. მეტიც: გარკვეული შაბლონი იყო შემუშავებული და ამ შაბლონში ხდებოდა ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებიდან კონკრეტული მაგალითების ჩასმა:

„აკაკის ენაში გვხვდება იმერული კილოსათვის დამახასიათებელი ასიმილაციის, დისიმილაციის, მეტათეზისის, ბერათა განვითარების, დაკარგვის, შენაცვლებისა და შერწყმის შემთხვევები“ (ქ. მოწენიძე)… და ამას მოსდევს შესაბამისი მაგალითები…

„ვასილ ბარნოვის ენაში შეიმჩნევა ისეთივე ფონეტიკური პროცესები, როგორიც დამახასიათებელია დიალექტებისათვის. ივარაუდება, რომ ისინი შემოსულია კილოებიდან“ (ე. კოშორიძე)… და სათანადო მაგალითები…

„b. მგალობლიშვილის მოთხრობების პერსონაჟთა მეტყველებაში მეტ-ნაკლებად დადასტურებულია ყველა ის ფონეტიკური მოვლენა, რომლებიც გავრცელებულია ქართლურში. ეს მოვლენებია: ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, ბერის ჩართვა, ბერის დაკარგვა, სუბსტიტუცია. განვიხილოთ ცალკალკე“ (გ. შალამბერიძე)…

„დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“ ენაში მრავლად ვხვდებით აღმოსავლეთის დიალექტებისათვის, კერძოდ ქართლურისა და კახურისათვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენებს, რო-

გორც ფონეტიკასა და მორფოლოგიაში, ისე სინტაქსსა და ლექსიკაში“ (მ. მესხიშვილი)... და კონკრეტული მაგალითები....

„რ. ერისთავის თხზულებათა ენაში გვხვდება ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური დიალექტიზმები“ (ლ. ორდანიშვილი) და მაგალითები....

ასევე განიხილება ნ. ლომოურის, ე. გაბაშვილის, ილია ჭავჭავაძისა თუ სხვათა ენა....

განსაკუთრებით ხშირად დავით კლდიაშვილს ეგნატე ნინოშვილთან აწყვილებენ: „ე. ნინოშვილი გურულ დიალექტურ ფორმებს იყენებს ძირითადად პერსონაჟთა მეტყველებაში, ე. ი. იმგვარად და იმ მოცულობით, როგორც ეს ადრე პქონდა გ. ერისთავს და ზ. ანტონოვს, ხოლო ლიტერატურაში დაამკვიდრა იღლა ჭავჭავაძემ და განაცრდეს ე. ნინოშვილის თანამედროვეებმა – ა. ყაზბეგმა, ს. მგალობლიშვილმა, დ. კლდიაშვილმა და სხვებმა“ (ქ. ძოწენიძე).

„იმგვარად“ და „იმ მოცულობით“ ცოტა უცნაური შეფასებაა... საერთოდ, თუ ამგვარ მსჯელობებს გადავხედავთ, ამ თვალსაზრისით შეიძლება რაიმე განსხვავებაზე ვისაუბროთ? თუ იმას არ ჩავთვლით განსხვავებად, რომ ერთი ერთ კონკრეტულ დიალექტს მიმართავს და სხვა – სხვას. ილია, აკაკი, ვაჟა, რ. ერისთავი, დ. კლდიაშვილი, ე. ნინოშვილი, ა. ყაზბეგი, ს. ლომოური, ვ. ბარნოვი, დ. ჭონქაძე, ს. მგალობლიშვილი და სხვები – ერთი და იმავე კრიტერიუმებითა და ერთნაირად ფასდება....

და საერთოდ, თუ რა სახის დიალექტიზმს გამოიყენებს (ასიმილაციას, დისიმილაციას, მეტათეზისს თუ სხვას), ამას რა მნიშვნელობა აქვს მწერლის ენის ანალიზისას? ალბათ არავითარი. ყველა ეს ფორმა არის დიალექტიზმი და როცა მწერლის ენაზე ვსაუბრობთ, ასეც უნდა შეფასდეს და თუ შევძლებთ, ვისაუბროთ, რა ფუნქციური დატვირთვა აქვს ამ დიალექტიზმებს კონკრეტულ მწერალთან...

ცალკეულ კონკრეტულ ფონეტიკურ თუ გრამატიკულ მოვლენებზე შეიძლება საუბარი მაშინ, თუ მიზანი დიალექტის შესწავლაა; თუ მხატვრულ ნაწარმოებს გამოვიყენებთ მასა-ლად დიალექტოლოგიური პატიონერი კვლევა-ძიებისათვის...

აქ კიდევ ერთი საკითხია, საუბრობენ ბარბარიზმებზე: დავით კლდიაშვილთან „თუ დიალექტიზმები იმერელი აზნაურების ხასიათების გამოსახურწად არის გამოყენებული, ამას კერ კიტჭით ბარბარიზმების შესახებ, რაც აქა-იქ ჩნდება...“ მკვლევარი გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როგორიცაა – „ამას რავა კაპატიებ მაგ სტაქანს“... და სხვა...

ასეთი შემთხვევები, რომლებიც მხოლოდ პერსონაჟის მეტყველებაში გვხვდება (სტაქანი, ბალკონი, სტოლი...) მწერლის ენის ანალიზისას დიალექტიზმად უნდა იქნეს განხილული; ეს ისეთივე დიალექტიზმია, როგორც ჩხინვი... ხოლო თუ დიალექტური ლექსიკის ანალიზს ვახდენთ, „სტაქანი“ ბარბარიზმია დიალექტის დონეზე...

ასევე, წარუმატებელი ძვონია ამგვარი შედარებებიც: „დიალექტიზმების გამოყენებაში დ. კლდიაშვილი ისე ზომიერი კერ არის, როგორც, მაგალითად, იღია ჭავჭავაძე... მწერალი არ ერიდება მეტი ექსპრესიულობის მისაღწევად, კოლორიზის შესაქმნელად იმერიზმების უხვად ხმარებას“ (ი. ქავთარაძე)...

როცა იღია ჭავჭავაძეზე ვსაუბრობთ, დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით სხვადასხვა ვითარებაა, ერთი მხრივ, მოთხრობებში „ოთარაანთ ქვრივი“, „გლახის ნაამბობი“ და „სარჩობელაზედ“, მეორე მხრივ, „კაცია-ადამიანსა“ და „სცენებში...“ და, მესამე მხრივ, „მგზავრის წერილებში“.

პირველ შემთხვევაში არ ხდება დიალექტიზმების მიზნობრივი გამოყენება; ვამბობთ მიზნობრივი-თქო, რადგანაც -დამ თანდებულის გამოყენება და მსგავსი შემთხვევები (სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშნები თუ სხვა), როგორც წერს, ის „ნორმაა“ იღიასათვის, ლიტერატუ-

რული ფორმაა მისთვის... მიზნობრივ გამოყენებაზე უნდა ვისა-უბროთ ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა, ვთქვათ, „კაცია-ადა-მიანში“: „გშობამ, შენ ნუ მამიკვდები, გშობამ!“... და სხვა.

მეორე შემთხვევა („კაცია-ადამიანი?!“) ისაა, როცა მწერ-ლის მიერ დიალექტიზმების გამოყენება ლუარსაბის „განათ-ლებულობაზე“, „შეგნებულობაზე“ აქცენტის გაკეთებაა...

მესამე შემთხვევაში („მგზავრის წერილები“) საგანგებო მდგომარეობაა ლელთ ღუნიას ეპიზოდში: პერსონაჟი მხოლოდ დიალექტზე მეტყველებს. ესეც, ცხადია, მიზნობრივი გამოყენებაა დიალექტიზმებისა... მწერალი მიგვანიშნებს, რომ ეს ის კაცია, რომელიც ხევს არ გაშორებია, წიგნი არ უნახავს, განათლება არ მიუღია, მაგრამ თავისი შეგნების დონით, მსჯელობის ლოგიკით, ცხოვრებისული სიბრძნით ათი თავით მაღლა დგას, ვიდრე „განათლებული“ რუსის ოფიცერი... ილიას აზრით, ესაა ეროვნული უბედურება, რომ ეს მოხევე იმ რუსისგან იჩავრებაო... ამ ეფექტს მწერალი, ერთი მხრივ, დიალექტიზმების მეშვეობით აღწევს...

სად იყო „ზომიერი“ ილია და სად არა? – ცხადია, „ზომიერია“ ყველა შემთხვევაში, გააჩნია მიზანდასახულობას...

\* \* \*

პრინციპულად მიუღებლად მიგაჩნია ეგნატე ნინოშვილისა და დავით კლდიაშვილის გვერდიგვერდ დაყენება, დიალექტიზმების გამოყენებაზე როცა ვსუბრობთ. მასალის ანალიზი საკითხს სხვაგვარად წარმოაჩენს..

საანალიზოდ ავიღე ერთი და იმავე მოცულობის (19 სტრიქონი პერსონაჟთა მეტყველებიდან) ტექსტი ე. ნინოშვილის მოთხოვნიდან „პარტანი“ და „სამანიშვილის დედინაცვლიდან“. ე. ნინოშვილთან დადასტურდა 39 დიალექტიზმი; დ. კლდიაშვილთან – 6. ე. ნინოშვილთან დიალექტური ფორმა წარმოდგენილია თითქმის ყველა შესაძლო შემთხვევაში; ანუ: პერსონაჟი

ლაპარაკობს „წმინდა“ გურული დიალექტით; დავით კლდიაშვილთან – არა. მოსალოდნელ (ე. ი. ფორმა, რომელიც შეიძლებოდა დიალექტური ვარიანტით წარმოდგენილიყო) და რეალიზებულ დიალექტურ ფორმათა პროცენტული შეფარდება ასეთია: ნინოშვილთან რეალიზებულია თითქმის 100%; კლდიაშვილთან – 18%. აშენავა, რომ ამ ორ მწერალს სრულიად განსხვავებული ენობრივი პოზიცია უჭირავს დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით. ცხადია, ის კითხვაც დაისმება, თუ რა ფორმები არის რეალიზებული დავით კლდიაშვილთან (ანუ: რა სახის დიალექტიზმები გვხვდება) და რა შემთხვევაში...

ძალზე საინტერესოა დავით კლდიაშვილის პოეტიკური თვალსაზრისით. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სწორედ მწერლის მუსიკალური ალლო, მაღალი ბგერწერული ხელოვნება. ეს მხარე კლდიაშვილის შემოქმედებისა შეუსწავლელია. რამდენიმე მაგალითს მოვიყვან საილუსტრაციოდ. ისეთი სიტყვები, როგორიცაა **თორემ**, მაგრამ, როგორ გვხვდება დიალექტური ნაირსახეობითაც: **თვარა**, მარა, რავა. დავით კლდიაშვილთან ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულის ორივე ვარიანტი გვხვდება: **თორემ / თვარა**, მაგრამ / მარა, როგორ / რავა. მწერლისთვის ეს არის ორი შესაძლო ვარიანტი და პერსონაჟთა მეტყველებაში გამოიყენებს ორივეს, იმისდამიხედვით, თუ კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტულ წინადადებაში, რომელი მათგანი უფრო „ჩაჯდება“, „მოერგება“:

„ასე ქენი მარა, საქმეს შორს ნუ გადადებ, თვარა“... დიალექტური ფორმების შემოტანა ფრაზას მეტ რიტმულობას, დინამიკას ანიჭებს. შევადაროთ, ასეთი ვარიანტი რომ ყოფილიყო: „ასე ქენი მაგრამ, საქმეს შორს ნუ გადადებ, თორემ“... აქ თითქოს იმერლისათვის დამახასიათებელი საუბრის ტემპი დაეცა, თითქოს დისონანსი შემოიტანა მაგრამ და თორემ სიტყვებმა...

ზევით ერთი ფრაგმენტი მოვიყვანეთ ხულიო კორტასა-რის ნათქვამიდან. უფრო ვრცლად, აი, რას ამბობს მწერალი: „ჩემში დაბადების დღიდან ცოცხლობს მუსიკა და გამუდმებით ეძებს გამოსავალს. ჩემს შემოქმედებაზე ივი უმთავრესად რიტ-მის მეშვეობით ახდენს ზეგავლენას... კცდილობ, ჩემი ნაწერები ავაგო მუსიკალურ ნაწარმოებთა კანონთი: ყველა ბერის ურ-თიერთკავშირი, მათი განუწყვეტლობა, სწრაფი განვითარება, კულტინაცია და გაწყვეტა“...

როცა ამას ვკითხულობ, ისეთი განცდა მიჩნდება, თით-ქოს დავით კლდიაშვილის აზრს ვეცნობოდე...

„ყველა ბერის ურთიერთკავშირი, მათი განუწყვეტლო-ბაო“, როცა ამბობს მწერალი, ალბათ ასეთ მაგალითებს გუ-ლისხმობს, ზემოთ რომ მოვიყვანე, ანდა: ყურადღება მიაქციეთ თანხმოვანთა ალიტერაციასა და ხმოვანთა ასონანს:

რავა არა, მარა (შდრ.: როგორ არა, მაგრამ...)

გავიწყდება თვარა, შვილი რავა არ ყავდა...

თვარა ჩემით რავა წევიდოდი...

რა არი ყმაწვილო, რანაირი საქციელია...

ასე ვთქვათ, საქრესტომათიო მაგალითებია ა ხმოვნის ასონანსისა:

აბა, მამიდაჩემ სალომესთან გავწიოთ, რავარც დარიკომ გვირჩია...

ამას რავა ვაპატიებ მაგ სტაქანს...

ასე ზამათ რავა მივიღე...

აქ რამდენიმე ფაქტს უნდა მივაქციოთ ყურადღება: დია-ლექტური ფორმების ა-ხმოვნიანი ვარიანტის გამოყენებას; ფრაზისა თუ სიტყვათმახვილის ფაქტორს. ყველა შემთხვევაში სალიტერატურო ფორმათა გამოყენება რიტმულობას დაარ-ღვევს... ამ ფრაზებსაც მივაქციოთ ყურადღება:

„პლატონ, გაიხსენე პეტრე მოციქული“ და იქვე

„პეტრე მოციქული გეიხსენე, შე უღვთო, შე უღვთო“...

„პლატონ გაიხსენე“ და „პეტრე გეიხსენე“... ფონეტიკური ვარიანტები გაიხსენე და გეიხსენე იმისდამიხედვით ენაცვლება ერთიმეორეს, მეზობლად რა სიტყვაა – ა-ხმოვნიანი პირველი მარცვლით თუ ე-ხმოვნიანი მარცვლით დაწყებული... მარცვალთა ასეთ მონაცვლეობას – ვარიანტთაგან სასურველის შერჩევას – მწერალს სწორედ შინაგანი მუსიკალური ალლო უკარნახებს. ეს არის ალბათ ის, რასაც „ყველა ბგერის ურთიერთკავშირი“ ჰქვია...“

როცა ამ თემაზე ვსაუბრობ, ისიც უნდა ვთქვა, რომ რედაქტორ-გამომცემლები არ აქცევენ ამას ყურადღებას და ზოგიერთ გამოცემაში კორექტურული შეცდომის დონეზე არის „გასწორებული“ დიალექტური ვარიანტი...

რამდენიმე შენიშვნის გაკეთება კიდევ შეიძლება დიალექტიზმებთან დაკავშირებით – დიალექტიზმები როგორც მხატვრული ხერხი, საშუალებაა მკითხველთან დამატებითი ინფორმაციის მიტანისა...

\* \* \*

უპირველესად ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ფაქტს: **შუაიმერული მეტყველება**, რომელიც ძირითადად აისახა დავით კლდიაშვილის პროზაში, საკმაო თავისებურებებით ხასიათდება. დიალექტიზმები გვაქს როგორც ფონეტიკურ, ისე მორფოლოგიურ და სინტაქსურ სფეროში, რომ აღარა ვთქვათ ლექსიკაზე. ყველა სახის ფონეტიკური თუ გრამატიკული დიალექტიზმები ვერ აისახება დ. კლდიაშვილის პროზაში. მხოლოდ რამდენიმე ტიპურ მაგალითს მოვიყვან გრამატიკული ანალიზის გარეშე: ასუმს, აჭუმს; ჯდია, დგანა; ძენილოფს, ცნობილოფს; მადანა, სადანა; შენე, ჩვენე; გავლარიენ, მოდილარიენ; ძალითანა; უჭირავსყე, დოუნთეყენ... ყველა ეს და მსგავსი მოვლენა, ფაქტი ფართოდაა გავრცელებული შუაიმე-

რეთში (ე. ნინოშვილთან გურულისათვის დამახასიათებელი ყველა ტიპის დიალექტიზმი შეგვხდება....).

პერსონაჟთა მეტყველებაში თავს იჩენს მხოლოდ ზოგი თავისებურება შუა იმერულისა: ძირითადად დამახასიათებელია ზმნისწინთა დიალექტური ფორმების ხმარება; თუმცა არ გვხვდება მო- და შე- ზმნისწინთა ა ხმოვნიანი ვარიანტები (შა-, მა-): მართალია, ეს ფორმები გვხვდება შუაიმერეთში, განსაკუთრებით ზემოიმერულში, მაგრამ მათ მაინც უფრო აღმოსავლური იერი დაჰკრავს... ვთქვათ, ხშირადაა გამოყენებული ფორმები: **მარა, რავა, რავარც, თვარა...** ასევე – შუალობითი კონტაქტის **ნარდაკარგული** ფორმები გამაგებიერი ტიპისა და ორიოდე სხვა სახის დიალექტიზმი (ეცეს, ქე, კაი...). აღსანიშნავია ისიც, რომ დიალექტურის გვერდით მისი ლიტერატურული ვარიანტიც იხმარება, და ზოგჯერ ერთსა და იმავე რეპლიკაში: **როგორც // რავარც, გაიხსენე // გეიხსენე, დავალევიე // დამალევინებს...** (ხელნაწერში გაპარული დიალექტიზმები ავტორისეულ რემარკებში ნაბეჭდში სწორდება...)...

ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ დასტურდება ძირითადად იმ სახის დიალექტიზმები, რომლებიც მეტ-ნაკლებად სხვა დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი. ფაქტობრივ ეს პროცესი კოინეს (იხ. ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1989) პრინციპთან არის მიახლოებული... დ. კლდიაშვილის პრინციპია: შექმნას გარკვეული კოლორიტი, მაგრამ არ გააბუნდოვანოს ფრაზა ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ოდენ იმერულისათვის სპეციფიკურ ფორმათა შემოტანით.

\* \* \*

ყველაზე ხშირად დ. კლდიაშვილთან ზმნისწინის დიალექტური ფორმები გვხვდება, მაგრამ თუ ერთი და იგივე სიტყვა არ მეორდება ზედიზედ (მაგ.: – **დევილუპე**... წმინდად დევილუპე! – იძახდა პლატონი. – წმინდად დევილუპე...), ვრცელ

რეპლიკაშიც კი ერთიმეორის მიმდევრობით ზმნისწინის დიალექტური ორი ფორმა არ იხმარება – მათ შორის ყველთვის არის წარმოდგენილი სხვა სახის დიალექტიზმი. მოთხოვბის ერთ-ერთ ყველაზე კრცელ რეპლიკაში, სადაც პლატონი უხსნის ბეკინას, თუ რა იმედია ორნაქმრევი უშვილო დედაკაცის შემოყვანა ოჯახში, დიალექტურ ფორმათა თანამიმდევრობა ასეთია: **დეინახოს... რავარც... თვარა... მარა... რავა... დევერიდები:**

„რა იმედია და აი, მოგახსენებ... შენ ცოლი გინდა. მე კი მინდა, რომ მამულის გამყოფელი არ დეინახოს ჩემმა თვალებმა... თვითონ ამბობ, ყაჩვილი ქალი არ მინდაო... მოგინახავ სწორუდ რიგიან ქალს, რომ კერავინ დაგვცინოს, შენ ნუ მომაკვდები. ორნაქმარებს იძირომ გეუბნები, რომ ქვრივებში ამოვარჩევ, გამოვნახავ იმისთანას, ორ ქმარს ჰყოლოდეს და არც ერთთან შვილი არ მიცემოდეს... ორივე ქმრის ხელში რომ უშვილო დარჩენილიყოს... ამისთანა დედაკაცი სწორუდ სამედო იქნება შვილის ყოლობაზე... თუ ორ ქმართან შვილი არ მიცემა, შენთან რაღა ღმერთი გაუწყრება... ამრიგად, შენც მოსვერგული იქნები, ძეც იმედიანად ვიქნები და ვიცხოვრებო ისე, რავარც გვიცხოვრია... ამ ჩვენს წუთისოფელს ჩვენს წესზე ამგვარადვე გავატარებოთ და ჩვენს მერე რაც იქნება, ის ღმერთმა იცის და ჩვენმა მომავალმა!.. შენ არაფერი გაკლდება, ჩემთვის კი ასეთი საქმე იქნება, თუვინდ ჩემი მამულის ნახევარი ხელახლა შემეძინოს... მათიც ამთ თუ შევინარჩუნებ, თვარა სხვა რა ძალი მაქვს, რა ღონე შემწევს? ამიტომ გთხოვ, მომანდო ეგ საქმე, მაშვალს თავი დაანებო... მრომა მე შემწედება, მართალია, მარა რავა დევერიდები?! უხეირო ქალს არ შემოვიყვან ოჯახში, ამაში პატიოსან სიტყვას გაძლიერების“

დიალექტურ ფორმათა თანმიმდევრობის ეს წესი ძირითადად გატარებულია დიალოგშიც: ორ მეზობელ რეპლიკაში არ შეინიშნება ერთნაირი დიალექტური ფორმა. ამ ტენდენციას

გამონაკლისიც აქვს: დიალოგში სხვადასხვა პერსონაჟთან ერთი და იგივე ფორმა მაშინ მეორდება, თუ ერთ-ერთი მათგანი გამოჯავრების მიზნით იმეორებს თანამოსაუბრის ფრაზას:

- ბატონო, მელანოს ჯაფას რას დევძებ, შენ ნუ...
  - რატომ რას დევძებ?! – გააწყვეტინა სიტყვა ბეჭ-ნამ...
  - საცხა ჩეიჩენება ახლა ის უბედური...
  - ჩეიჩენება კი არა...
- \* \* \*

დიალექტიზმები პერსონაჟის მეტყველებაში ფაქტობრივად ყოველთვის იჩენს თავს, როცა მოქმედი პირი მდგომარეობიდან არის გამოსული – დამწუხრებულია, გაჯავრებული ან სასოწარკვეთიღლი:

- დევილუჟე... წმინდად დევილუჟე! – იძახდა პლატონი.
- წმინდად დევილუჟე, თუ რამე არ ვისაშევლე, რამე არ ვიღონე!...
- უიმე! უიმე! ეს რა გეგონა ჩემმა ყურებმა!...
- ამას რავა ვაპატიებ მაგ სტაქანს!...
- რავა არ უნდა მოძკლას ჩემმა პატრონმა? რავა არ უნდა მოძკლას? რავა ვარ შესაბრალისი?
- მაგ ოხერი კიდევ მეეთრა?!
- გოუღეთ... გოუღეთ მაგ შეჩენებულს ჭიშკარი!... გოუღეთ... მაგ თავსლაფდასხმულს მავას!... – მიაყირა უკან ჯიძერმა.

მსგავს შემთხვევებში ამით ავტორი მეტ ექსპრესიულობას, სიცხოველეს, სიმაფრეს მატებს ფრაზას და პერსონაჟის მდგომარეობას უფრო ცხადად წარმოგვიჩენს. ამ შემთხვევაში აღბათ საინტერესოდ წარმოჩნდება თვითონ ბუნება შემოდგომის აზნაურებისა. კუდაბზიკა, თავმოწონე აზნაური, საგანგებო სიტუაციაში ჩავარდნილი, საკუთარ მეტყველებაზე კონტროლს

კარგავს, ერთგვარი ნიღაბი, რომელსაც ამაღლებული (ამ შე-  
მთხვევაში ლიტერატურული) საუბრით იქმნის, ეხსნება და  
ბუნებრივ სახეს წარმოაჩენს...

ასეა ვითომ?.. ჩვენ ასე ვფიქრობთ....

\* \* \*

შეინიშნება ერთი მოვლენაც: ორი პერსონაჟიდან, როცა  
ერთ-ერთს გარკვეული უპირატესობა აქვს მეორესთან შედარე-  
ბით და ამას ორივე გრძნობს, მდგომარეობით პრივილეგირებუ-  
ლი საუბრისას არ ერიდება დიალექტურ ფორმათა ხმარებას;  
მეორე თავშეკავებულია, მორიდებული, ფრთხილი და, ამდენად,  
მისი მეტყველება თითქოს შებორკილია... ე. ი. შეგნებულად  
„გალიტერატურულებული“, დიალექტიზმებიდან დაცლილი. ეს  
ფაქტი გახაზავს მდგომარეობით პრივილეგირებულის მიმართ  
თანამოსაუბრის პატივისცემასა და მოწირებას და, შესაბამი-  
სად, „მაღლა მდგომის“ მიერ მეორისადმი მეტყველებით გამო-  
სატულ გაშინაურებას, თავის გატოლებას. ამგვარ დიალოგში  
დიალექტური ფორმების შემოტანა ათავისუფლებს ავტორს  
პერსონაჟთა შორის ასეთ დამოკიდებულებაზე საგანგებო მი-  
ნიშნებისაგან... ურთიერთდამოკიდებულება მეტყველებით იხა-  
ტება. მხედველობაში გვაქვს პლატონ სამანიშვილისა და ივანე  
გვერდევანიძის, „იმ კუთხეში ცნობილი სახელის მქონე აზნაუ-  
რის, სოფლის ადვოკატის“, დიალოგი. ივანეს მეტყველებაში  
ხშირია დიალექტური ფორმები (დამსილი... რავარც... ღოუჯე-  
რებელი... გოუმწარეს... ოუტყდნენ... ქე... გვჭირია... ი... ღევ-  
ლო... მიემატებია... მაგიერათ...); პლატონთან კი ორიოდე შე-  
მთხვევა დასტურდება (თვარა... მარა... რავა), თუმცა როცა ავ-  
ტორი აქვე პლატონის ფიქრს გადომოგვცემს, საკმაოდ მოკლე  
რეპლიკაში დიალექტურ ფორმას გამოურევს: „ასეა ჭკვიანი  
კაცის ორიოდე სიტყვაც! – გონებაში ხალისიანად ამბობდა  
ძუნძულით მიმყოლი პლატონი. – ყოველთვის სასარგებლო

რამეს გეიგონებ“. საინტერესოა ისიც, რომ დ. კლდიაშვილთან ვნებითის -ე სუფიქსი მომდევნო ა ხმოვნის წინა პოზიციაში, ჩვეულებრივ, ი-ის სახითაა წარმოდგენილი (იამა ← ეამა, იახლა ← ეახლა). ივანე გვერდევანიძესთან საუბარში კი პლატონი სწორ „გეახლებოლით“ ფორმას ხმარობს, რაც ამ მოთხრობაში სხვა შემთხვევაში არ დასტურდება (ისე ეს შემთხვევა უფრო კორექტურას ჰგავს – რედაქტორ-კორექტორთა ჩარევას....).

ვფიქრობ, მსგავს შემთხვევაში (როცა თანამოსაუბრეთაგან ერთ-ერთს გარკვეული უპირატესობა აქვს მეორესთან შედარებით და ამას ორივე გრძნობს) ყველა ჩავვარდნილვართ; დავით კლდიაშვილმა ეს სიტუაცია თავისი საოცარი მწერლური ალლოთი დიალექტიზმების მეშვეობით ასე გამოხატა...

\* \* \*

თუ ორი პერსონაჟი ერთმანეთისათვის უცხოა, სანამ გაუშინაურდებიან ერთიმეორეს, მათი დიალოგი სალიტერატურო ქართულს მისდევს. როგორც კი მათ შორის უცხოობის ჯებირი მოიხსება, გადაიღახება – დიალოგშიც შემოიჭრება იმერიზმები. მხედველობაში გვაქვს პლატონ სამანიშვილისა და არისტო ქვაშავიძის საუბარი ჯიმშერ სალოობერიძის ოჯახში. გვახსოვს: კირილე მიმინოშვილმა პლატონს წამოაძახა, „დედინაცვალს ერთს კი არა, ათს გიშოვი... ერთ უშვილო დედაბერს დევეძებს საღედინაცვლოდ“... ეშმაკური აზროვნების კაცმა არისტო ქვაშავიძემ უცებ დაიჭირა ეს ფრაზები და როგორც კი საშუალება მიეცა, მიუჯდა პლატონს. თავიდან უარზეა პლატონი – „ბატონო, რაღაცას უჭიურ, ვონებადაკარგული კაცი წამოაყრანტალებს, რა გასაგონარია, თუ ღმერთი გწამს!“... მაგრამ „გამოტეხა“ არისტონ პლატონი, გაუშნილა ქვაშავიძეს თავისი მოგზაურობის მიზანი პლატონმა და არისტომაც საკუთარი მამიდა შესთავაზა სადედინაცვლოდ. უკვე მათ შორის შინაურული სიტუაცია შეიქმნა და რეპლიკებშიც

იმატა დიალექტიზმებმა... მსგავსი სიტუაციაც არაერთი შეგვხედრია ცხოვრებაში... დავითი ამ რეალობის დასახატადაც დიალექტიზმებს მოიშველიებს...

ცხადია, დავითი არ ფიქრობდა ამაზე. „წერდა როგორც იწერებოდა“, მაგრამ იწერებოდა ისე, როგორც ბუნებრივ სიტუაციაში მოიქცეოდნენ და ისაუბრებდნენ მისი პერსონაჟები. კიდევ ერთი ფრაგმენტი სერგო კლდიაშვილის მოგონებიდან:

„სამსონს, დავითის ძამას, სიმონეთში ძველი ძველიარი ესტუმრა. სხედან, უძასპინძლდება სამსონი და საუბრობენ (ამ მონაკვეთს ქვემოთ უფრო კრცლად მოვიყვან – გ. გ.)...

ორივე დიდხანს ტრაბახობს. სკამენ ერთმანეთის სადღევრძელოებს, წარსულს იხსენებენ და ერთმანეთს ულოცავენ კაფოფილ ცხოვრებას.

— დათიკო, დადლილი ხარ, მოისვენე! — უუბნება ნასა-დილუს დედაჩემი.

— ცოტა ხანს კიდევ, ცოტა ხანს! — არ დვება მამა. — ასე მჯონია ჩემი მოთხოვობიდან მესტუმრენ!...

მამას დახრილი თავი ვრძელ თითებზე დაუდგია და თვალდახუჭული უსმებს ორი მოხუცი აზნაურის საუბარს...“ ფაქტია, მთელი ცხოვრება დავითი ასეთი ინტერესით ეცნობოდა აზნაურთა ყოფას. ამიტომაცაა ასე ბუნებრივი მისი დიალოგები, მისი ენა საერთოდ...

\* \* \*

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი:

შევნიშნავთ, რომ დ. კლდიაშვილის პერსონაჟები პარალელურად ხმარობენ მაგრამ და მარა, როგორ და რავა, როგორც და რავარც ფორმებს. შეიმჩნევა ერთი კანონზომიერება: მხოლოდ მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაშია ორივე ეს ფორმა დადასტურებული და ზოგჯერ ერთსა და იმავე რეპლიკა-შიც კი. ქალი პერსონაჟები მხოლოდ დიალექტურ მარა, რავა,

**რაგარც** ფორმებს იყენებენ. ამ ხერხით მწერალი ერთგვარად უპირისპირებს „მამაკაცური“ და „ქალური“ მეტყველების რიტმს, თავისებურებას, ტემპს. **მაგრამ**, **როგორც** ფორმები უფრო ამაღლებული, დარბაისლური, დინჯი მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი; **მარა**, **რაგა**, **რაგარც** ფორმები – უფრო აჩქარებული, გაბმული მეტყველებისთვის:

**როგორ არა, მაგრამ... როგორც...**

**რაგა არა მარა... რაგარც...**

„მამაკაცური“ და „ქალური“ მეტყველების დაპირისპირების საკითხი თავისთავად საინტერესოა. დიალექტები ამის თაობაზე საინტერესო მასალას მოგვაწვდიან. მაგალითად, აღნიშნავენ, რომ ქიზიყურში შორისდებულს „ვაი“ მამაკაცები გამოიყენებენ, „უი“-ს – ქალები (მ. ხმალაძე). ეს შეიძლება სხვაგანაც ასე იყოს...

თავის დორზე იაკობ გოგებაშვილის „დედაენაზე“ საუბრისას დიმიტრი ყიფანმა შენიშნა: „გენაცვას ქალი იტყვის და არა ვაჟი; ვაჟი იტყვის – გეთაყვაო“... ასე რომ, დავით კლდიაშვილის მიერ დაჭრილი იმერულის ეს თავისებურება ძალიან საინტერესოა...

\* \* \*

ჩვენ რამდენიმე შენიშვნა გავაკეთეთ დიალექტიზმების გამოყენების თაობაზე დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ მიხედვით. დავით კლდიაშვილის პროზა თუ დრამატურგია ძალიან მდიდარ მასალას იძლევა ამ თემაზე საუბრისათვის... და არა მხოლოდ დიალექტიზმების გამო...

როცა პეტრე უმიგაშვილს „სამანიშვილის დედინაცვალი“ წაუკითხავს, ხუმრობით უსაყველურია დავითისათვის, რატომ დაამთავრე ასე მაღლე სამანიშვილის მოგზაურობაო, – „გადავიყვანდი ქართლში, იქდან კახეთში – რა სურათი იქნებოდა, რა იქნებოდა! შენ კი ასე მაღლე მოანახვიდ დედინაცვალი“...

დავითმა მოკლედ უპასუხა: „არ ვიცნობ ქართლსა და კახეთს“...

დიახ, იმერეთს იცნობს დავითი, იმერულს იცნობს დავითი და ხატავს დიდოსტატურად. მის ყოველ ფრაზაში, წინადადებაში ისმის იმერული სუნთქვა. ვისთვისაც ეს ნაცნობია, იოლად დაინახავს; ვისთვისაც არა — გაიცნობს...

დიახ, არა მხოლოდ დიალექტიზმების გამო.

გრიგოლ რობაქიძეს აქვს დიდებული ნარკვევი დავით კლდიაშვილზე; ერთი მოკლე ამონარიდი: „დავით კლდიაშვილი სალამს არ დაგჯერდება: მოგჭიდებს ხელს ხელში და იმწამს იწყებს გულის გადაშლას... განსაკუთრებით ახარებს სიკეთე. კიდევ უფრო — სხვისი კარგი. უსმებ ამ გულს და გიყვარს სიცოცხლე. ხედავ მინდიას, მოებიდან ბარში ჩამოსულს. „უცნოურია“ — ამბობს დავითი რომელიმე ამბავზე (ამ სიტყვას ივი იმერული გამოთქმით ამბობს). შენც უსმებ ამ „უცნოურს“:

უცნაურობით რომ დაფასდეს რომელიმე მხარე, პირველ ჯილდოს იმერეთი მიიღებდა უთუოდ“. აი, ამ „უცნოურის“ ამოხსნასა და დახატვაში ეხმარება მას იმერული მეტყველება...

\* \* \* (დავით კლდიაშვილი ეკრანსა და სცენაზე)

დ. კლდიაშვილის დამოკიდებულებას დიალექტიზმებისადმი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მისი ნაწარმოების ეკრანიზაციისას ანდა სცენაზე დადგმის შემთხვევაში. ფილმში „სამანიშვილის დედინაცვალი“ კირილე მთელი ფილმის მანძილზე ზემოიმერულად უქცევს (მსახიობი ჭიათურელია)... მასსოვს, ქუთაისის თეატრში „ქამუშამის გაჭირვება“ დაიდგა ადრე და თავი იმერეთის ორლობებში გეგონებოდა, ისე საუბრობდნენ მსახიობები...

არადა, კლდიაშვილის პერსონაჟი სხვაგვარად საუბრობს... დიალექტიზმებს მხატვრული დატვირთვა აქვს და იმ

ზომითა და იმგვარად უნდა ისმოდეს სცენასა თუ ეპრანზე, როგორც კლასიკოსი მწერალი გამოიყენებს...

როცა დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა ეკრანიზეციაზე ან დადგმებზე ვსაუბრობ, რეჟისორ **თემურ ჩხეიძის** ერთი სატელევიზიო გამოსვლა მახსენდება (16, 09. 2018 წ. საზოგადოებრივი მაუწყებელი; გადაცემა „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“); მოვიყვან ვრცელ ჩანაწერს ამ გადაცემიდან. ვფიქრობთ, ეს ერთი მხრივ, დიდი რეჟისორის თვალით დანახული დავით კლდიაშვილს წარმოგვიდგენს და, მეორე მხრივ, მგონია გარკვეული „მასტერკლასიც“ იქნება ახალგაზრდა რეჟისორთათვის...

„პირველი, რაც შეიძლება დაბჯითებით თქვას კაცმა, არის ის, რომ უაღრესად ნაძივილია; უაღრესად. როდესაც კოთხულობ კლდიაშვილს, იქნება ეს პროზა თუ მისი დრამატულია, არსად არ გიჩნდება ოტისოდენა რაღაც საჩითირო შეგრძნება; ან გამონავონის შევრძნება, რასაც ხანდახან წანწყდები ხოლმე ნაწარმოებში... გამონავონი ცუდს არ ნიშნავს... ატყობ, რომ ეს კარგად მუფიქრებია მწერალის... კლდიაშვილთან სრული შთაბეჭდილებაა ყოველთვის, რომ ადამიანი ცხოვრების სტენოგრამას წერს... თითქოს, აი, ზის და იწერს მხოლოდ იმას, რაც მის თავს ხდება, ან მის გარშემო სხვებს ემართებათ. რანაირად აღწერს ამ სრულიად უნიკალურ თვისებებს და, აი, ამ ძვირობების, კაცმა არ იცის... ამიტომაც არის ამხელა მწერალი...

სრულიად ახალგაზრდობაში გაკეთებული მაქს „სამნიშვილის დედინაცვალი“ რობიკოსთან (რობერტ სტურუჟასთან – გ. გ.) ერთად. მე არ მომეტებდება არც მისი კითხვა და არც მისი დადგმა... რაც უფრო უკეთესია ნაწარმოები, მით უფრო მეტ ფაქტზ მოპყრობას ითხოვს; მით უფრო ვერ იტანს უხეშ ჩარევას... ამ დროს რა სირთულე ახლავს, იცით? აი, როგორ შევინარჩუნოთ ის სიფაქიზე... ასეთი შევრძნება აქვთ

ალბათ იმ ოსტატებს, ბროლზე რომ მუშაობენ, ბროლის რა-  
ღაცას რომ აკეთებენ; ერთ უხეშ მოძრაობას შეუძლია ჩაგაფ-  
შვნას ეს ბროლი ხელში... რაღაც ამგვარი სირთულე ახლავს...  
ამ, როგორ შევინარჩუნოთ ის ტონალობა... ეს ყველა ახალ  
შემთხვევაში ერთსა და იმავეს რომ დგაძლე... ამ, რომ დადგა  
და... ერთ წელიწადში კიდევ რომ დადგა, ვთქვათ, „დარისპა-  
ნი“, ყველაფერი თავიდან არის აღმოსაჩენი... რამდენჯერაც არ  
უხდა დადგა... არაფრის გარანტია ეს არ არის, პირიქით...

საინტერესო მომენტი: საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია,  
დავით კლდიაშვილი თვლიდა, რომ მან კარგად არ იცოდა  
ქართული... რანაირი ქართულით წერს მერე?... მარტო ისწავ-  
ლა კი არა, შეისისხლხორცა, შეიწოვა, შთანთქა; ქართულში  
გაეხვია მთლიანად... რანაირი ქართული ენაა, მხოლოდ მის-  
თვის დამახასიათებელი. არ ვიცი, რა გითხრათ... ისეთ რამეს  
გამოიგონებს, ისეთ ფრაზას იტყვის...

ის ეპიზოდი ხომ გახსოვთ დარისპანიდან – მართა რომ  
ეუბნება პელაგიას: „ახლავე აქ მომიყვანე ჩემი ნათლული, პე-  
ლაგია ჩემო!... ამ საღამოს მესტუმრება ონისიმე მათარაძის ბი-  
ძაშვილის ედუკიას – ხარაბაძეს რომ ჰყავს, – შვილი... ეგებ  
ღმერთი შეგვეწიოს და ჩემი ნატალიას ბედმა გასჭრას“... გა-  
ხსოვთ, პელაგიას პასუხი ამ სცენის ბოლოს: „პიჩოჩკა გეიკე-  
თოს თუ დეიმწნას? ბედად წუხელი თავიც კი დეიბანა!...“ ამ  
ერთ პატარა წინადადებაში მთელი ბიოგრაფია აღწერა ამ  
ოჯახის... (ბედი რომ გექნება კაცს და თავს რომ დაიბან!...)“.

ამ საუბარს კომენტარს ვერ ვაკადრებ...

ერთ საინტერესო ფაქტსაც მივაქცევთ ყურადღებას იმე-  
რულ მეტყველებასთან დაკავშირებით:

\* \* \* (გენაცვალე – დაგენაცვლე)

დავით კლდიაშვილთან პერსონაჟთა მეტყველებაში დას-  
ტურდება პარალელური ფორმები გენაცვალე და დაგენაცვლე-  
ეს ფაქტი რამდენიმე თვალსაზრისით საინტერესოა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „გენაცვალე, გენაცვალები“ საალერსო მიმართვის ფორმაა (იხ. ენაცვალება, შემოგველე, გეთაყვანე); „დაგენაცვლე“ საუბრული ფორმისადაა მიჩნეული.

დღეისათვის იძერულ დიალექტში, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში, გამოიყენება ფორმა „გენაცვალე“; „დაგენაცვლე“ ქუთაისში ქართველ ებრაელთა მეტყველების საკუთრებადაა ქცეული; ქართველი ამ ფორმას აღარ ხმარობს. როცა არაებრაელებს უნდათ მინიშნება პირის ებრაელობაზე, სწორედ ამ ფორმით მიმართავთ: **დაგენაცვლე**, კაი შარვალკოსტუმი მინდა... ზოგჯერ ეს სიტყვა ეთნიკურ ტერმინ ებრაელის სინონიმადაც იხმარება: **დაგენაცვლეა მაგი?**

არის შემთხვევები, როდესაც დღეს ამ ენობრივ ფაქტს (**დაგენაცვლე**) იყენებს მწერალი მაშინ, პერსონაჟის ებრაულ წარმომავლობაზე როცა აკეთებს აქცენტს: „აბრამმა მუშტარს ახვდა: სწორი პრძანდები, დაგენაცვლე“ (რ. მიშველაძე).

დავით კლდიაშვილთან **და** ზმნისწინიანი ფორმის (**დაგენაცვლე**) ხმარება ჩვეულებრივია, ისევე როგორც უზმნისწინო ფორმისა (**გენაცვალე**).

საერთოდ, წყველა-დალოცვის ფორმულებში ზმნის ფორმაწარმოების შესაძლებლობები შეზღუდულია. არ გვაქვს ყველა მწკრივის ფორმა; იმ მწკრივებში, რომლებიც გამოიყენება, პირთა ყველა შესაძლო კომბინაციაც არ გვხვდება. დ. კლდიაშვილთან დასტურდება ყველა შესაძლო ფორმობრივი ვარიანტი **და-** ზმნისწინიანი ფორმისა. ეს იმდენადაა საყურადღებო, რამდენადაც, როგორც ვთქვით, დღევანდელ ქართულში (არც სალიტერატუროში და არც დიალექტურ მეტყველებაში) **და-** ზმნისწინიანი ვარიანტები აღარ იხმარება. ამაზე ყურადღებას იმიტომაც ვამახვილებთ, რომ დ. კლდიაშვილის ეს მასალა საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალებას მოგვცემს.

ჩვეულებრივ, დალოცვის ფორმებში გამოიყენება პირთა კომბინაციები – მე შენ (მე თქვენ); ძირითადად, ეს ვარიანტია დაგენაცვლე ფორმის შემთხვევაში:

არაფერს არ დავეძებ, შენ **დაგენაცვლე!** – აწრიალდა იგი;

ხომ არ ავადმყოფობ მაინც, შენ **დაგენაცვლე;**  
რავა დევიგვიანებ, შენ **დაგენაცვლე!** ცხონებას მპირდები;  
შენ **დაგენაცვლე,** კაბა რომელი ჩავიცვა?  
შენ **დაგენაცვლე** მაგ მოქარგულ ენაში!  
ამათთან ნურაფერს იზამ, შენ **დაგენაცვლე!**  
კერაფერი გავიგე, შენ **დაგენაცვლე!**  
შენ **დაგენცვლე,** შენი ჭირი შემუყაროს...

როცა მესამე პირი არის „სული“, წყვეტილში ჩვეულებ-  
რივ პირთა კომბინაციაა – მე მას:

გვიშველე, შენს სულს **დაგენაცვლე!** აღარ ვართ მაგის-  
გან;

სეკრეტარი უსათუოდ უნდა მაწვიო, მაგის სულს **დაგე-  
ნაცვლე,** უსათუოდ!

მამა, ჩემო მამა, შენს სულს **დაგენაცვლე,** გამიშვი;

მამა, შენს სულს **დაგენაცვლე,** ჩემო მამა!

შენს სულს **დაგენაცვლე!** საუკუნო მოსამსახურედ გამი-  
ხადე.

გამოიყენება **მეორე კავშირებითის** ფორმები; პირთა კომ-  
ბინაცია – ის შენ:

ნუ გეშინაა, შვილო, ნუ გეშინაა, შენ **დაგენაცვლოს** შე-  
ნი დედა;

შენი ჭირიმე... შენ **დაგენაცვლოს** შენი და დარიკო.

პირთა კომბინაცია – ის მას:

შენს სულს **დაგენაცვლოს** დათიკა ვიორგაძე.

ერთი შემთხვევა დავადასტურეთ მყოფადის ფორმით:

**შენ დაგენაცვლება ნათლიაშენი.**

დავით კლდიაშვილთან ყველა ეს მორფოლოგიური ვარიანტი დასტურდება უზმნისწინო ფორმითაც:

ღმერთი გადაგიხდის, **გენაცვალე** მის ძლიერებას;  
მაგას ენაცვალა მისი ძებია;  
კი, შვილო, კი, გენაცვალე;  
მაგას გენაცვალე;  
ჩვენ შეგვაშინებს უფრო, შენ გენაცვალე;  
შენს სულს გენაცვალე;  
ღმერთი მოწყალეა, **გენაცვალე** მის ძლიერებას!  
რა მოვიყიდა, გენაცვალოს მამაშენი;  
შენ გენაცვალოს შენი დედა...

საინტერესოა ის ფაქტი, რომ დ. კლდიაშვილთან ზმნისწინიანი (**დაგენაცვლე**) და უზმნისწინო (**გენაცვალე**) ვარიანტები გვხვდება არა მარტო ერთსა და იმავე მოთხრობაში, ერთსა და იმავე პერსონაჟთან (როგორც მამაკაცთან, ისე ქალთან), არამედ ზოგჯერ ერთსა და იმავე რეპლიკაშიც:

აწი გათავისუფლდები, შენ გენაცვალე, და შენი საწყალი დედის გულს გაახარებ შენი კარგი იღბლითა... შენ დაგენაცვლეთ ყველანი... ყველანი;

უი, შენ დაგენაცვლა მამიდაშენი, რავა მშვიდობით, შენ გენაცვალე;

იმ ფაქტს, რომ ამ მეორე მაგალითში უცხოს „**გენაცვალეს**“ ეუბნება და მმისშვილს „**დაგენაცვლეს**“, აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა, მნელი სათქმელია. ისე ამ ვარიანტსაც არ გამოვრიცხავთ, რადგან დ. კლდიაშვილის პერსონაჟთათვის ამგვარი დამოკიდებულება თანამოსაუბრეთა ვინაობასთან შეიმჩნევა.

ფაქტია: დავით კლდიაშვილისთვის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები ერთი და იმავე ენობრივი ერთეულის ვარიანტებია და სტილის მრავალფეროვნებისათვის შეანაცვლებს

მათ. იმერულში დადასტურებული პარალელური ფორმების ამ-გვარი გამოყენება დ. კლდიაშვილის სტილის ერთ-ერთი თავი-სებურებაა (მაგ.: მაგრამ // მარა, როგორ // რავა: იხ. აქვე).

როგორც ვთქვით, **და-** ზმნისწინიანი ფორმა, რაც დ. კლდიაშვილთან ჩვეულებრივ გამოიყენება, დღეს იმერულ და-ლექტში აღარ გვხვდება; ზმნისწინიანი ფორმების გამოყენება გამორიცხულია. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ზმნისწინიანი ფორმა მხოლოდ დაბალი ფენის ქუთაისელ ებრაელთა მე-ტყველებისათვისაა დამახასიათებელი დღესაც:

**დალოცვა:**

შენ **დაგენაცვლა** შენი ბებიაი... მაგ **დაგენაცვლა** შენ...  
შენ **დაგენაცვლე...**

**წყევლა:**

**დამნაცვლებია** თავში... **დაგნაცვლებია** თავში... მაგ **დამე-ნაცვლა** მე...

ცხადია, ჩნდება კითხვა: თუ **გენაცვალე** და **დაგენაცვლე** ფორმები XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე სასაუბრო ქარ-თულში პარალელურ ვარიანტებად გამოიყენებოდა, მომდევნო პერიოდში რატომ მოხდა მათი ხმარების გამიჯვნა ეთნიკური ნიშნის მიხედვით: **დაგენაცვლე** ებრაელთა ქართულის კუთვნი-ლებად იქცა და აღარ გამოიყენებს არაებრაელი წარმოშობის ქართველი... ერთი დაზუსტებაც: როგორც ითქვა, **დაგენაცვლე** დაბალი ფენის ებრაელთა მეტყველებისთვისაა დამახასიათებე-ლი... გავიხსენოთ ისიც, რომ ქეგლ-ის მიხედვით **დაგენაცვლე** სასაუბრო მეტყველების ფაქტად მოიაზრება, **გენაცვალე** - სა-ლიტერატურო ფორმად.

მოგეხსენებათ, დაბალი ფენის ქუთაისელ ებრაელთა სა-ქმიანობა ძირითადად ვაჭრობა იყო; კლიენტთან ურთიერთობი-სას **გენაცვალე** // **დაგენაცვლეს** ხშირი გამოყენება ხდებოდა; როგორც ჩანს, ებრაელი უპირატესობას ანიჭებდა სასაუბრო ფორმას (**დაგენაცვლე**) შინაურული სიტუაციის შესაქმნელად,

კლიენტის მოსაზიდად; ასე იქცა მათი მეტყველების საკუთრებად დაგენაცვლე... ეს ფორმა ამ პროცესის (ვაჭრობის) თანმდევად იქცა... შემდეგ მკვიდრდება როგორც ამ ეთნიკური ჯგუფის მეტყველების დამახასიათებელი ფორმა... შესაბამისად არაებრაელი ქართველი გაემიჯნა ამ ფორმას, როგორც ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელს... ანუ: **გენაცვალე / დაგენაცვლე** იქცა ქართულად მოსაუბრეთა – ქართველებისა და ქართველი ებრაელების – მეტყველების ურთიერთგამიჯვნის საშუალებად...

ასე მოხდა ერთი და იმავე მნიშვნელობის პარალელურ ფორმათა გადანაწილება ეთნიკური ნიშნის მიხედვით... ესაა ზოგადად მეტყველების ნაირსახეობათა ურთიერთგამიჯვნის საინტერესო მაგალითი.

და ამ ფრიად საინტერესო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა დავით კლდიაშვილის შემოქმედება.

### \* \* \* („რეზიუმესნაირი“)

მწერალმა თამაზ ბიბილურმა გამოაქვეყნა ერთი ძალზე საინტერესო დაკვირვება (მოგეხსენებათ ო. ბიბილური კახეთიდან იყო):

„ერთხელ ჩავატარე ასეთი პატარა ექსპერიმენტი. აივანზე ვიდექი და ქვემოთ ჩემი მეზობლები ყაყანებდნენ, იცინოდნენ, ჭორაობდნენ. უცბად მომიარა სურვილმა, რომ ჩამეწერა ეს პროცესი. აღმოვაჩინე ძალზე სასიამოვნო რამ. აქ, ამ საუბარში იყო კოლორიტი, ჩანდა თითოეული პერსონაჟი, ეს დიალოგი იყო აბსოლუტურად იდეალურად გამართული. ეს ჩემთვის ძალზე სასიხარულო მოვლენა იყო, ეს ვარაუდი გამიმართლდა მერეც, როცა დავრწმუნდი, რომ დიალოგი შეიძლება სუფთა ქართულით, მაგრამ კოლორიტი მაინც იყოს, მაინც გმირი მეტყველებდეს. ამის ნიმუშები გვაქვს ჩვენ ილიასთან, დავით კლდიაშვილთან. პერსონაჟები თითქოს ლაპარაკობენ

ჩვეულებრივად, სუფთა სალიტერატურო ენით, მაგრამ ლაპარაკობს ლუარსაბი, ლაპარაკობს დარეჯანი, ლაპარაკობს პლატონ სამანიშვილი“ (1992 წლის ოქტომბერი. რადიოინტერვიუ. დაბეჭდი გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“, 22 იანვარი, 1993 წ.).

დღახ, ლაპარაკობს კლდიაშვილის პერსონაჟი... მაშინაც კი, როცა დიალექტური ფორმები არ ისმის, საუბარი მაინც იმერულია... სამწუხაროდ, ქართული ზეპირი მეტყველება არ არის კარგად შესწავლილი... დღალექტური სტილისტიკა... მეტყველება „შეიძლება სუფთა ქართულით, მაგრამ კოლორტი მაინც იყოს, მაინც გმირი მეტყველებდეს“, ჩვენს შემთხვევაში იმერულად...

მიფიქრია ამაზეც: დ. კლდიაშვილის სინტაქსი არაა განსაკუთრებული; ჩვეულებრივია, ყოველგვარი ზერთული სინტაქსური კონსტრუქციებისაგან თავისუფალი; „ზედმეტად“ ბუნებრივი... ზოგჯერ სტუდენტებთან სწავლებისას რთული და ზერთული სინტაქსური კონსტრუქციები რომ დამჭირვებია, კლდიაშვილი ვერ გამომიყენებია... მჭირდებოდა და ერთი გვერდი გადავწერე „მემუარებიდან“. ერთხელ რომ დავხედავდი წინადადებას, მეორედ დახედვა აღარ იყო საჭირო, ისე გავდო-ოდი ბოლომდე... ზოგჯერ ნახევარ წინადადებას რომ წაიკი-თხავ, გრძნობ როგორ დამთავრდება... თითქოს შენი ნაფიქრი იყოს, შენ წერდე... არ ხდება სხვა მწერალთან ასე... ეს კლდიაშვილის ქართულია... აკაკის ლექსს რომ ვკითხულობ, მაშინ მაქს ეს შეგრძნება, მეც ხომ დავწერდი ასე-მეთქი...

როგორ იქცევა წმინდა იმერული სტილი, იმერული ქართული შენს ქართულად... ჩემს იმერლობას ამ შემთხვევაში აქვს რაიმე არსებითი მნიშვნელობა?... მოდი, გავიხსენოთ იმერლის (იმერული) ქება-დიდება „მემუარებიდან“:

„სად ისწავლა ამ ოჯახდაქცეულმა ასეთი ქართული!..“

„გხიბლავს კაცს ამ შეჩვენებულის ენა!..“ – რამდენი სიყვარული, პატივისცემა, მოფერებაა ამ უცნაურ ეპითეტებში... ან მონატრება დავითისებური „ჰაი, ბერი, რა ხალხი იყო!...“ – ეს მხოლოდ იმერეთში იციან...

აი, ესაა დავით კლდიაშვილის ქართული! აი, ასე ლაპარაკობს კლდიაშვილის პერსონაჟი...

და მაინც, რატომ არ მოსწონდა პეტრე უმიკაშვილს დავით კლდიაშვილის ქართული?...

**ერთი მინაწერიც:** გურამ დოლუენჯაშვილის ალბომს ვათვალიერებ; აი, იმერეთი... ვნატრობ: მაჩვენა დავით კლდიაშვილის თხზულებანი გურამ დოლუენჯაშვილისეული იღუსტრაციებით...

**კაცი, რომელსაც გული მეტი ჰქონდა,**

**ვიღებ თვითონ იყო**

**(ვიქრები დავით პლიაზვილზე)**

### **მამაშვილობა**

„მემუარებში“ დავით კლდიაშვილი საინტერესოდ გვაცნობს თავის ოჯახურ გარემოს, დედულსა და მამულს. მოუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ვრცლად საუბრობს ახლობელთა შესახებ, სიტყვაძუნწია მამის – სამსონ კლდიაშვილის – მიმართ. ჰყვება, რომ სამსონის დედობილ-მამობილი „ყოველნაირად უწყობდნენ“ ხელს ადრე ობლად დარჩენილს, შეაძლებინეს ესწავლა და, ორკლასიანი სასწავლებელი გაათავებინეს ქუთაისში; დაეხმარებ სამსახური ემოვნა და კიდეც იშოვა – სამაზრო სამმართველოში შევიდა გადამწერად, იცოდა ლამაზი როგორც ქართული, ისე რუსული წერა. მუჭათო, მოხერხებული კარგად გაუძლევა თავის სამსახურს, და ცოცხალმა, ლამაზმა, კოლეუსკი რევისტრატორის ჩინით დაჯილდოებულმა ყმაწველმა იძღენი მოახერხა, რომ თავი მოაწონა მდიდარ მებატონეს და შეირთო მისი ერთადერთი ქალიშვილი ცოლად“. სულ ესაა...

დავითისათვის მერე იწყება ქუთაისის პერიოდი – მამამ მიაბრა რუსის ოჯახში რუსულის სასწავლად; მერე – მრევლოვის მოსამზადებელ სასწავლებელში... და მამამ მოახერხა, პატარა დავითი იმ ორმოც ბავშვში მოხვედრილიყო, რომელთაც რუსეთში აგზავნიდნენ სამხედრო სასწავლებელში. მოგვიანებით მემუარებში გულდაწყვეტილი ჩაწერს: „მიჰყავდათ ისინი იმ მიზნით, რომ გაერუსებინათ და კიდევაც მიზანს აღწევდნენ ხოლმე, რადგან რუსეთში, სამშობლოს მოწყვეტილი ბავ-

შვი ივიწყებდა ქართულ ენას, ზნეს და ბრუნდებოდა ქართული გვარით, მაგრამ ერთიანად, თავიდან-უეხებამდე ვარუსებული. თავად-აზნაურობა დოდი ხალისით აძლევდა ბავშვებს მთავრობას, რადგან ის ზრდიდა თავის ხარჯზე და მშობლებს ანთავისუფლებდა ყოველი ხარჯისაგან შეიღის აღსაზრდელად...“ ეს ჩანაწერი გარკვეულწილად ჩუმი საყვედურიც არის მამის მიმართ გამოოქმული... ცოტა ქვევით კიდევ ერთი საყვედური წამოსცდება დავითს: „ორმოცდაორი ბავშვი ჩაგვაბარუს წასაყვად ვიღაც შეხნიერებულ მათორს. ჩაგვიყვანეს ფოთში, რომ ზღვით წავეყვანეთ რუსეთში. მე მამაჩემი არ მომშორებია, თან მიმყებოდა და მპირდებოდა სოხუმამდე მიგყვებით. ეძნელებოდა ერთადერთი ვაჟიშვილის მოცილება. მაგრამ დასხლია თავს და ფოთში ჩამომშორდა ჩემთვის გაუგებრად“... (ხაზი აქაც და შემდეგაც ჩემია – გ. გ.).

სამი წლის შემდეგ „გარუსებული“ ჩამოდის საქართველოში არდადეგებზე დავითი... საოცარი მღელვარებითა და სითბოთი აღწერს დედასთან თუ სხვა ახლობლებთან შეხვედრას... ამ ეპიზოდში (და შემდეგაც) სამსონი არა ჩანს...

არადა, სამსონ კლდიაშვილს სულ სხვაგვარად გვიხატავს სერგო კლდიაშვილი:

„სიმართლის თქმა სჯობს: ბაბუა სამსონი არ მიყვარდა, იქნებ იმიტომ, რომ არც მას ვუყვარდით, არც შვილიშვილები, არც დედა, არც მამაჩემი, თუმც დავითის მეტი ვაჟი არა ჰყავდა“...

სერგო საკმაოდ ვრცლად საუბრობს ბაბუაზე: „საერთოდ ბაბუა სამსონს არავინ უყვარდა და მცონი არასდროს თავის-თავის მეტი. მამას თუ მრავალი კარგი თვისება ჰქონდა, ეს, ცხადია, დედამისის, ბებია კესარიასი. მამისა არაფერი გამოჰყოლია გარუგნული მსგავსების მეტი. უგულო კაცი იყო სამსონი. ათი წლისაც არ ყოფილა დავითი, როცა ოჯახს მოგლიჯა და მორუსულ რუსეთში ზღვით გაისტუმრა. გემაძისაც

არ მიჰყოლია, დავითის დედა მოთქმით ტიროდა, სამსონი კი ბრაზობდა: – ან კაცი გამოვიდეს, თუ არა და ჯანდაბას მისი თავი!“

როგორც ვნახეთ, დავითი ამ ამბავს ასე მკვეთრად არ იგონებს – მამა მამა!..

სერგო ერთ ამბავსაც გაიხსენებს, რასაც დავითმა გვერდი აუარა – არ ჩათვალა საჭიროდ მისი გახსენება: „1908 წელს დავითის დედა, კესარია, გარდაიცვალა. სამსონს ცოლი დიდხანს არ უგლოვია. რამდენიმე წლის შემდეგ თითქმის 70 წლის სამსონმა მეორე ქალი ითხოვა. მამა ძალიან წინააღმდეგი იყო, სთხოვა, არ ექნა ეს. მერე გაუწყრა. სამსონმა თავისი არ დაიშალა, შეირთო კულაშელი მიქელაძის ქალი და მოიყვანა. მის შემდეგ დავითმა თავის მამასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა და რამდენიმე წლის განმავლობაში სოფელში არც ბავშვები გაგვიშვა. დავითს უებნებოდნენ, რომ „სამანიშვილის დედინაცვალი“ თავისთავს უწინასწარმეტყველა“...

სერგო ვრცლად საუბრობს სამსონის უცნაურობებზე, თუმც ფრთხილობს: „მეშინა, ზედმეტი შეურაცხყოფა ძივაყენო მის სახელს, რაც უნდა იყოს, მამა იყო დავითის. დავითს მაინც უყვარდა ის და მკვდარს მწუხარებით დასტიროდა“...

ერთ საოცრად საინტერესო ამბავსაც იხსენებს სერგო: „როცა სამსონი მოკვდა, მის ქალადებში ვიპოვეთ დაწერილი „დანოსი“ მიმართვით: უძალღეს მთავრობას. „დანოსი“ ასე იწყებოდა: – „შვილმან ჩემმან ოფსტავნოი პოლკოვნიკმან დავით კლდიაშვილმან“... სამსონი სჩიოდა, რომ ადგილები გაუზომეს და ზედმეტი მიწა ჩამოართვეს შვილის მიზეზით. რა შეუძლია იყო აქ დავითი?

მამამ წაიკითხა, ჯერ გაიცინა, მერე ისევ წაიკითხა.

– რა მშვენივრად დაუწერია, – მოსწონდა დავითს. – საცოდავი მამა, ნიჭიერი კაცი იყო!..“

...საოცრად დიდტუნებოვანი კაცი იყო დაგით პლდიაშვილი!..

კაცი, „რომელსაც გული მეტი ჰქონდა, ვიდრე თვითონ იყო!..“ (სერგო კლდიაშვილი).

### „ფანტაზია“ თუ „ფანტასტიკა“?

ბეკინა სამანიშვილსა და მის შვილს – პლატონს – შორის უთანხმოებაა ბეკინას ცოლის შერთვის სურვილის გამო. ბეკინა საყვედურით ეუბნება შვილს: „ღმერთმა იცის და ყველაც ხედავს, რომ არა გიჭირთ-რა; მიწაც საკმაოდ გაქვთ, თუ სხვაზე მეტი არა; წყალიც, სახლიც, კარიც... ტყეც და ველიც!.. (ეს კი მეტი წამოცდა ბეკინას – ტყე სრულიად არა ჰქონებია). სამწუხარო რა გაქვთ?!“

ეს ის ბეკინაა, რომლის შესახებაც ავტორი წერს: „ბეკინა სამანიშვილი, რასაკვირველია, ღარიბი აზნაური იყო, გვარიანი ღარიბიც“... და იქვე – „მაგრამ ბეკინას კი თავისი თავი ძიდიღებში ძოჰქონდა და ვინ იქნებოდა, რომ თავის სიღარიბეზე ერთი სიტყვა წამოუცდევინებინა ბეკინასათვის“?...

არადა, უცნაურია: ბეკინა თავის ერთადერთ ვაჟს ესაუბრება საკუთარ „სიმდიდრეზე“. თუ ვინმებ იცის, პლატონმა იცის, რა სიმდიდრის პატრონები არიან, მაგრამ მაინც ყურადღებით ისმენს... იცის ბეკინამ, რომ ტყეის, მაგრამ მაინც ამაყად აგრძელებს მონოლოგს... ბეკინამ ისიც იცის, რომ პლატონმა იცის, რომ ბეკინა ტყეის და მაინც ყურადღებით უსმენს (ალბათ, მერამდენედ...); პლატონმა ისიც იცის, ბეკინამ რომ იცის, პლატონმაც რომ იცი ეს და ასე შემდეგ...

მწერალი წერს: „როცა შინაურობაშიაც ლაპარაკს გააძამდა ბეკინა თავის გამოულეველ სარჩოზე, ღონიერ ღუჯმაზე, მასი ერთადერთი ცოლშვილიანი ვაჟიშვილი პლატონი, თუმცა ტრაბახობად მააჩნდა მოხუცებული მამის ასეთი სიტყვა, მაინც

არას ეუბნებოდა საწინააღმდეგოს და მხოლოდ პირჯვრის გამოსახვით იტყოდა ხოლომე:

— ამაზედაც გმადლობ, უფალო! ამაზედაც გმადლობ, უფალო!“

საინტერესო მოგონებას გვთავაზობს სერგო კლდიაშვილი:

ბაბუმიას, სამსონ კლდიაშვილს (დავითის მამას), მეგობარი სტუმრებია. „ბაბუა სამსონი მეგობარს გვერდით უზის, უძასპინძლდება, ღვინოს უსხამს და უამბობს:

— არაუკრი მაკლია, ჩემო სიძონ... აქ შეძომხედვ, ხომ კარგად გახსოვარ მე, სამსონ კლდიაშვილი? პოდა, ახლა უკეთესად ვარ, სავსე ვარ უკელაფრით!

ბაბუა სამსონი პირდაპირ ზღაპარს უამბობს თავისი ვენახის, ყანების, ციცქასა და კრახუნა ღვინით სავსე ქვევრების შესახებ“...

მეგობარი (სიმონი) უსმენს სამსონს, თითქოს იჯერებს ყოველივე გაგონილს და თავისას ამბობს:

„— ვერც მე დავეძლუურები დაქროთს, ჩემო სამსონ. შვილებაც ძალიან შემიწყეს ხელი. ისე ვცხოვრობ, რომ ჩემთან მოსვლა გეხსიამოვნება. ასი კაცი რომ უუცრად მესტუმროს, მეზობლისას ერთი ჭიქის სათხოვნელადაც არ დამჭირდება გადასვლა. მე გეტყვი არ მაქვს!“

ამ საუბარს დავითი თურმე შორიდან ისმენდა... უთქამს; „ასე ძონია, ჩემი მოთხრობიდან მესტუმრენო!..“

დიახ: ბეჭინა, სამსონი, სიმონი ერთნაირად იქცევიან; ერთნაირად იტყუებიან შინაურთან თუ გარეშესთან... თუმცა „იტყუებიან“ არაა ის სიტყვა... არაა მატყუარა, ცრუ ბეჭინა... ეს ისე, სიტყვისთვის ამბობს...

ძალიან საინტერესო ახსნას უძებნის ამგვარ „ტყუილებს“ გრიგოლ რობაქიძე. აკაკი წერეთლის შესახებ წერს: „აკაკის დიდი ფანტაზია ჰქონდა, თანვე ტყუილი იცოდა დიდი,

რა საჭიროა ამის დაფარვა? ხოლო მის „ტყუილს“ რაღაც სხვა იერი ჰქონდა: „მოტყუება“ კი არ უნდოდა (რაიმე პირადი მიზნით). „ტყუოდა“ ისე, თითქო ჰსურდა ესიამოვნებინა მობა-ასე. უსმენდი აკაკის და გიკვირდა მისი „ფანტაზია“. საკვირ-ველი კიდევ ის უფრო იყო, რომ თვითონვე სჯეროდა, რასაც ღაპარაჟობდა. ეს უფრო მისი ფანტაზიის თამაში იყო...“ ამ თემაზე საუბარს გრიგოლ რობაქიძე ასე დაარქმევს: „ფანტა-ზია თუ ფანტასტიკა“ და სიტყვა „ტყუილს“ ყველგან ბრჭყა-ლებში ჩასვამს...

დიდებული ახსნა!.. არაა მატყუარა ბეკინა... არც სამსო-ნი, არც სიმონი... და ამ იმერულ ხასიათს, ბუნებას დავითი ისე ხატავს, რომ პერსონაჟის მიმართ უარყოფითი დამოკიდე-ბულება არ უჩნდება მკითხველს...

### „თავმდაბლობა ღმერთის შესამოსელია“...

ოთარ ჩხეიძე „ჩანაწერებში“ თავისი კოლეგების შესახებ ამბობს: „**კ-მ მე-ს გარდა სხვა ნაცვალსახელი არ იცის; გ-ძ იცოდა სხვა ნაცვალსახელები, მაგრამ მე-ს ძალიან უკ-რთხილებოდა**“... როცა ეს წავიკითხე, უნებურად დავით კლდიაშვილი გამახსენდა. ამ თვალით თუ დავინახავთ, ფაქ-ტია: დავით კლდიაშვილმა ყევლა ნაცვალსახელი იცის „**მე**“-ს გარდა...

დიახ, ეს ასეა... ვრცელ „მემუარებში“ (ასეთ წიგნებს დღეს ბიოგრაფიულ რომანებს ეძახიან), ცხადია, თხრობა პირ-ველ პირში მიმდინარეობს. მწერალი პირველი პირის ნაცვალ-სახელს ძალზე იშვიათად გამოიყენებს. რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან ბოლო, მეთოთხმეტე, თავიდან. მოგეხსენებათ. ეს პა-ტარა თავი დავითის შემოქმედებით ცხოვრებას ეხება.

„**წერა ძალიან ადრე დავიწყე**. მეორე კლასში ვიყავი, მოთხრობა რომ დავწერე რუსულად, რადგან ქართული დავი-

წევებული მქონდა. რამ დამაწერია, სრულიად აღარ მახსოვს; მახსოვს კი, რომ მოთხრობის გმირი სისხლში ცურავდა... .

მოხარული, სამხედრო სასწავლებელში ყოფნის დროს, გიმნაზიის გათავების შეძლევ, გადავთარგმნე ლომაურის მოთხოვა „აღი“: მეგოტანე უკრნალ „რუსები ვესტნიკ“-ის რედაქციაში. რედაქციამ რამდენიმე ხნის შეძლევ გამომიცხადა, რომ თარგმანი არ დაიბეჭდებათ, რადგან მოთხრობა მეტად დაუჯერებელ ამბავს მოვალეობსო...

წადილი დიდი მქონდა, ჩემი ცხოვრებიდან რაიმე დამეწერა, მაგრამ ვერ ვბეჭდავდი“... და ა.შ.

ცხადია, ქართული ზმის ბუნება სტილურად სწორად აგებულ წინადადებაში პირველი პირის ნაცვალსახელის გამოყენების აუცილებლობას არ საჭიროებს, მაგრამ... მაგრამ „მე“ ნაცვალსახელის შემოტანა წინადადებაში აძლიერებს აქცენტს პირველ პირზე; „წერა ძალიან ადრე დავიწყე“ და „მე წერა ძალიან ადრე დავიწყე“; ამ ორ წინადადებაში გადმოცემული მოქმედება გრამატიკულად იდენტურია, მაგრამ სტილურად განსხვავებული: როგორც დავით კლდიაშვილი იტყოდა, მეორე ვარიანტი „დაწერილია პრეტენზიულად“... დავით კლდიაშვილი ამ „მე“-ს „მაღავს“, არ აჩენს... მეთოთხმეტე თავი ექვს გვერდს იჭერს; ორასამდე ზმიაა, პირველი პირი რომ არის წარმოდგენილი მასში; სულ ცხრაჯერაა ნაცვალსახელი „მე“ გამოყენებული; ეს ყველა ის შემთხვევაა, ნაცვალსახელის გარეშე შინაარსობრივი შხარე რომ დაზარალდებოდა: ორჯერ ც ნაწილაკიანია (მეც...), ორჯერ კი ნაწილაკით (მე კი...), ორჯერ შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრია (მე და...), ერთხელ „მაგრამ“ კავშირთან (მაგრამ მე...), ორჯერაც უარყოფით კონტექსტში (მე არ მოვდივარ..., მე არ მესმის...). ესაა სულ ორასიოდე მაგალითიდან... უცნაური ამ შემთხვევაში არაფერია: დავით კლდიაშვილი უაღრესად მოკრძალებული, თავმდაბალი, უამბიციო, უპრეტენზიო ავტორია... როგორც აღ-

ვნიშნეთ ზემოთ, წერდა ერთგან სხვის შესახებ – მოთხოვა  
იყო დაწერილი პრეტენზითო.... ეს მიუღებელია დავითისა-  
თვის...

მწერალმა, რომელსაც ცხოვრებაში არაერთი გამარჯვება  
მოუპოვებია სალიტერატურო ასპარეზზე, სამასგვერდიან რო-  
მანში ბოლო ექვსი გვერდი მიუძღვნა თავის შემოქმედებას...  
ისიც ისე, ვითომ სხვათაშორის...

არადა, ბათუმის პერიოდში იყო მისი მთავარი ლიტერა-  
ტურული გამარჯვებები: „მსხვერპლი“, „სოლომონ მორბელა-  
ძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება“,  
„წრფელი გული“, „დარისპანის გასაჭირი“... არ ლაპარაკობს  
ამ გამარჯვებებზე; მოკლედ, ძალიან მოკლედ „აღწერა“ თავი-  
სი ლიტერატურული ცხოვრება: „ეს სითბო, ეს სიყვარულია-  
ნობა თან ახლდა ჩემს ლიტერატურულ შრომას, არასდროს  
არ დაკლებია იგი და ამიტომაც ჩემი გავლილი ლიტერატუ-  
რული გზა ბედნიერად გავლილად მიმაჩნია“... ესაა სულ... არ  
ლაპარაკობს ამ გამარჯვებებზე... სხვა მოვლენებს უთმობს  
დროსა და ადგილს... სხვის ამბავს აღწერს დეტალურად, და-  
წვრილებით, ობიექტურად...

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: დავით კლდიაშვილი  
1908 წელს გადმოდის ქუთაისში და იწყება სამოქალაქო  
ცხოვრების პერიოდი; როგორც ვთქვით, უკვე დიდად წარმა-  
ტებული და ცნობილი მწერალია. დავითი სამსახურს ეძებს:  
„ქუთაისში გადმოსვლისას საჭირო იყო იმ პენსიის გარდა,  
რომელიც მე დამენიშნა, მეშვეა კიდევ რაიმე სამსახური. ბე-  
დად ქალაქის მმართველობაში გაიხსნა ამგვარი ადგილი. ჩემმა  
კეთილისმყოფელმა კოტე ბაქრაძემ გადაწყვიტა, სხვებთან ერ-  
თად, რომ ამ ადგილზე მე მივეწიო. ქალაქის თავად ამ დროს  
იყო ქუთაისში ცნობილი კექილი დავით ლორთქიფანიძე. მას  
თურმე დიდად უქეს ჩემი თავი.

— ვინ დავით კლდიაშვილია? — კითხა ლორთქიფანიძეს.

- მწერალი. – მიუვო კოტე ბაქრაძეს.
- შეუძლია კი წერა? მე არ ვიცნობ, არც ვინძესგან გა-მიგონია! – ეთქვა ლორთქიფანიძეს „... დავითი ამას წერს ლიმი-ლით; ცოტა იმერული ირონით, მაგრამ არა გაბრაზებული, შეურაცხყოფილი კაცის ტონით – როგორ არ მიცნობდაო... ამ საქმეს კოტე ბაქრაძის წყალობით ბოლო კეთილი ჰქონდა... ეს ამბავი მწერალმა გაიხსენა მხოლოდ იმისათვის, ეჩვენებინა, როგორ გაუძნელდა ქუთაისში ფეხის მოკიდება... და არა „მე“-ს გამო.

კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი. ცოტა ვრცლად ვი-ტყვი:

დავით კლდიაშვილი გმირი იყო... ბათუმში როტშილდის ქარხანაში მუშათა მღელვარებაა. ცნობილი გამოსვლებია. ქვე-ყანა შეძრა მაშინ ბათუმში მომხდარმა სისხლისლვრამ. ოფი-ცერ ანთაძის გუნდს უბრძანეს, იარაღი გამოეყენებინა. „საზა-რელი კივილი, წივილი!.. აირა ყველაფერი! გარბიან გონება-დაკარგულები შიშით, უღეტებ ერთმანეთს. დაცარიელდა იქუ-რობა. ქუჩა კი მოფენილია დაჭრილებით, მომაკვდავებით და მოკლულებით. სისხლში ვდიან დევი ახალგაზრდები, ზოვი უძრავად, ზოვი სიკვდილს ებრძვის; გულშემზარავი კვნესა, დაჭრილები, საზარელი სურათია...“ დავით კლდიაშვილი თავი-სი გუნდით იქვეა; უბრძანეს, მონაწილეობა მიეღო „წესრიგის დამყარებაში“ (ფაქტობრივ, უბრძანეს, ესროლა...) ... კლდიაშვი-ლის გუნდიდან ტყვია არ გავარდნილა; ეს პასუხისმგებლობა დავითმა საკუთარ თავზე აიღო... მწერალი საოცარი გულის-ტკივილითა და განცდებით აღწერს მომხდარს...

რამდენიმე თვის შემდეგ დავითი პეტერბურგშია. ერთ-ერთ საიდუმლო შეხვედრაზე მოხვდა... ადვოკატი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი დამსწრებებს ბათუმის მოვლენების შესახებ უყვებოდა (ადვოკატი სასამართლო პროცესზე მუშათა ინტერე-სებს იცავდა). კრების დამთავრებისას ანდრონიკაშვილს და-

მწრეებისათვის მიუმართავს: „ბატონებო! ჩვენ შორის იძყოფება პირი, რომელიც იმ უბედურ დღეს, ბათუმში რომ პქონდა ადგილი, თავისი გუნდით პუნქტზე იყო, მაგრამ ერთი ტყვია არ გაუსვრია და რომლის შესახებ აღტაცებით გველაპარაკებოდნენ კემლებს ბათუმის მუშები!.. ესერ ბრძანდება ის პირი!..“ არ მოელოდა დავითი ამას. წერს: „გავშრი, თავს რეტი დამესხა. გარშემო ტაშისცემა, ხმაურობა. ზეზე წამომდგარი თავს ვუკრავ, მაგრამ აუწერელ ძღვომარეობაში ვიძყოფები. გავჩერდე, არა ვთქვა რა, შევიფერო ნათქვამი – ეს თავისთავის რაღაც გმირად გამოსახვას დაემსგავსებოდა... ეს ჭოვლად შეუძლებელი იყო, ხმა არ ამომღერო! საჭირო იყო მოხდენილი, შესაფერისი სიტყვა...“ და „სანამ ტაშისცემა შედგებოდა, შევადგინე საპასუხო სიტყვაო...“ და დავითი იწყებს „თავის ძართლებას“; წერს: „ვულწრფელად ვთქვი, რომ მე არავითარი გმირობა არ გამოიჩენია, რომ მე ბედისგან შებრალებული აღმოვჩნდი, ბედნიერი იმათთან, რომლებიც უნდურად ხდებიან საშინელი დამნაშავენ ხალხის წინაშე“... და მისთანანი. იტყვის, „ჩემმა ვულწრფელმა თქმად მეტი მხურვალე ტაში გამოიწვიაო...“ როგორც ჩანს, იმდორინდელ ბათუმშიც, სხვა საქართველოშიც და პეტერბურგშიც ამ ჭეშმარიტი გმირობის შესახებ ბევრს ლაპარაკობდნენ... დავითი უხერხულად ისმენს ყოველივეს; „ვამბობდი, რომ ბედნიერმა შემთხვევამ შემიბრალა, დამიხსნა, არ დაძლება“...

იაკობ გოგებაშვილი გამახსენა ამ ამბავმა: როცა „დედაენის“ პირველი გაკვეთილის თაობაზე სიტყვას ჩამოუგდებდნენ, იდეალურიაო, რომ ეტყონენ, თავმდაბლად იტყოდაო: „ეს უნდა მიეწეროს ქართული ენის ლირსებასა და არა ჩემს ოსტატობასაო“...

იაკობ გოგებაშვილის ხსენებამ ეს ფაქტიც შემახსენა: 1930 წელს გადაწყდა, დავითისათვის იუბილე გაემართათ;

სერგომ გაუმხილა ეს განაზრახი. დავითი ბრაზობს: „— არა-  
ფერი საჭიროა! — უფრო ხმამაღლა იმეორებს. — კის რად  
აინტერესებს ჩემი იუბილუ.. არაფერი საჭიროა. არაფერი მი-  
თხრა იუბილუს შესახებ!..“ არადა, დღეც დანიშნულია და  
გამოცხადებული... ისევ სერგოს მოხერხება და დაიყოლიეს  
დავითი...

ზემოთ აკაკი წერეთელთან შეხვედრის ეპიზოდი გავიხსე-  
ნეთ, მოსკოვში მიმავალ ახალგაზრდა დავითს აკაკი წერე-  
თელმა ირონიით რომ ჰკიოთხა, გარუსების დასამთავრებლად  
მიდიხარო?.. სხვა შეხვედრებზე არას ამბობს; დიდ პიროვნე-  
ბასთან ახლო ურთიერთობაზე საუბარი ტრაბახად არ ჩამო-  
მერთვასო... არადა, აკაკისთან ძალიან ახლოს ყოფილა... სერ-  
გო კლდიაშვილი იგონებს, როგორ ესტუმრენ ახალგაზრდები  
აკაკის სხვიტორში. „მე ვიკვებნიდი ამხანაგებთან, რომ აკაკი  
უმაღვე მიცნობდა“ — წერს სერგო... არ მოხდა ასე... თავიდან  
ვერ იცნო აკაკიმ; მერე: „მასი თვალუბი შემთხვევით ჩემზე შე-  
ჩერდნენ. ერთხანს დაუჭვებით მიცქერის. ანდამატივით მიზი-  
დავს ეს შემოხედვა, ნაბიჯს ვდგამ მისკენ და, უკრად მესმის:

— ბიჭო, შენ დათიქოს შვილი ხომ არ ხარ?

სიხარული მიტაცებს. ანგარიშმიუცემლად ვეხვევი. მო-  
მხვია ხელი, ლოფაზე ძკოცნის და ნამიანი ტუჩების მიკარებას  
ვვრძნობ.

— მამაშენს კი ვეძღური! — ისე მუუბნება, თითქოს მარ-  
თლა საყვედურობებს, — რამდენჯერ ვთხოვე ჩემთან ამოხუ-  
ლიყო და ერთხელაც არ მნახა აქ. იმაზე ნაკლები აზნაური  
არ გახლავარ. ეკალა აქცე მოიძებნება...“ ეკალას ხსენებაც  
კლდიაშვილის შემოქმედების გახსენება იყო...

ეს ფაქტიც დიდად საგულისხმოა: 1898 წელს „მოამბე-  
ში“ დაიბეჭდა დაგითის მოთხრობა „მრევლში“; აკაკი წერეთე-  
ლი თავის კრებულში მაშინვე გამოეხმაურა ამ ფაქტს: „უბრა-

ლოთ, თითქოს თვითონაც არ აძლევს მნიშვნელობას, ისე გა-  
ძვრით, გზა და გზიხატავს სიფლის ცხოვრებიდან ერთ  
სურათსო“... დავით კლდიაშვილი ამ და მსგავსი ფაქტებს თა-  
ობაზე არაფერს ამბობს მემუარებში...

არც იღია ჭავჭავაძესთან შეხვედრის ეპიზოდებს იხსე-  
ნებს... არადა: 1895 წელს ბათუმში ქალაქის თავს ირჩევენ...  
ეს ის ცნობილი არჩევნებია, ქართული საქმის გამარჯვებად  
რომ მოინათლა შემდგომში. დავითი ვრცლად საუბრობს გრი-  
გოლ ვოლსკისა და ივანე მესხის დამსახურებაზე; თვითონ ამ-  
ბის აღმწერის როლს სჯერდება, თუმცა ერთ-ერთი მთავარი  
მოქმედი პირი იყო ამ დიდ ქართულ საქმეში; ქუთაისში  
სწორედ ის გაიგზავნა ლუკა ასათიანთან მოსალაპარაკებლად  
— დათანხმებულიყო ქალაქის თაობას... არჩევნებზე თბილისი-  
დან იღია ჭავჭავაძე მოიწიეს... დავითი ამ ფაქტს მუნწად  
აღწერს: „საარჩევნო დარბაზში თვალსაჩინო აღვილას სავარ-  
ძლებზე მოთავსებული იყო და არჩევნების შევლელობას უყუ-  
რებდა განვებ ამ შემთხვევისათვის თბილისიდან ჩამოყვანილიი  
იღია ჭავჭავაძე“, — ესაა სულ... არ პქონდა ვითომ დავითს  
შეხვედრები იღიასთან? შეუძლებელია...

დიახ, თუ ოთარ ჩხეიძის ზემოთ ნათქვამის პერიფრაზს  
მოვახდენთ, დავით კლდიაშვილი ის მწერალია, რომელმაც  
„მე“ ნაცვალსახელი არ იცის... სხვა — კი... სხვას არავის  
უკარგავს დამსახურებას და სიკეთეს...

და კიდევ: ოთარ ჩხეიძე იმ ცნობილი მწერლის შესახებ  
ამასაც ამბობს — „ო, ის მამაც ხონებული, რა თავგადაკლული  
ითხავს გენიოსის ბიორაფიასა! საინტერესოა, ფსიქოლოგიუ-  
რად საინტერესო და საგულისხმო“...

ნამდვილად, დავით კლდიაშვილის შემთხვევაც „საინტე-  
რესოა, ფსიქოლოგიურდ საინტერესო და საგულისხმო!..“

„თავმდაბლობა ღმერთის შესამოსელიაო“, ბრძანა უწმინ-დესმა და უნეტარესმა ილია მეორემ!..

### გრიგოლ რობაქიძე და დავით კლდიაშვილი

დავით კლდიაშვილი მემუარების დასაწერად შვილს, სერგოს, წაუქეზებია. ესეც საინტერესოა. სერგო დავითის შესახებ თა-ვის დიდებულ ნარკვევში წერს:

„მოხუცებს წარსულის მოვონება უყვართ.

მავრამ დავითისათვის წარსულის გახსენება უბრალო მოვონება არ არის. მას აწვალებენ წარსულის სურათები და სახეები. ესენი გამორჩენ ლიტერატურულ გზაზე და ახლა ეპოტინებიან. ასეთ წუთებში დავითის სახე კიდევ უფრო შთა-გონებული ჩანს.“ სერგო განებივრებულია ასეთი საღამოებით და მის წინ „გადაიშლება წარსული საოცარი, ხან მშვიდი, ხან მღელვარე, ხან აღმაშვოთი, ხან ტკბილად მოსავონარი.“ იცის ფასი სერგომ ამგვარი მოვონებებისა და იტყვის; „ვბედავ და ვაძლევ შეკვეთას: დასწეროს მემუარები“.

ახლა, როცა ვიცნობთ დავითის ბუნებას, რეაქცია არ გა-გვიპვირდება:

„— ვისთვის იქნება ეს საინტერესო? რა იყო ისეთი ჩემი ცხოვრაბა? ჩემს თავზე ვიღააპარაკო? ეს ხომ ტრაბაზი გამო-ვა...“

საუბარი აეწყო... ჩნდება იმედი, რომ სერგო დაიყოლიებს დავითის...

„— შენ მოვალე ხარ, დავიწყებას არ მიეცენ ისინი, ვისაც შენსაკით მხატვრული ნაშრომები არ დაუტოვებია, მავრამ რომელთა ცხოვრება იმის ღირსია, რომ დავიწყებული არ იქ-ნებ!

მეთანხმება.

— იცოცხლე, ხალხი იყო... ჰაი, ბერა, რა ხალხი იყო!“

პრინციპული თანხმობა მიღწეულია! სერგომ კიდევ პატარა „ეშმაკობა“ იხმარა — ცოტა ხნის შემდეგ თავისი დანაზოგი ფული გადასცა, „მნათობმა“ ჰონორარი წინასწარ გამოგიწერაო და... „ერთი კვირის შემდეგ დავითი თბილისში ჩამოვიდა და უკრნალისათვის გადასაცემად მემუარების დასაწყისი ჩამოიტანა.

— ნამუსზე შემაგდეთ, რაღა უნდა მექნა. ფულმა კი სულ-ზე მოგვისწრო... ეს სულ შენი ხრიკებია! — მეუბნება სიცილით, — ახირებული ჩაციება იცი, სერგო ჩემო!...

და სერგოს თვითქმაყოფილი დასკვნა: „წავიკითხე და დავრწმუნდი — არ შევმცდარვარ „ახირებული ჩაციებით“. და-ვითმა უბრალო მემუარები კი არა, თავისი საუკეთესო ძო-თხრობების თანაბარი დაწერა“.

„ჰაი, ბეჩა, რა ხალხი იყოო“, გაიხსენა დავითმა და მარ-თლაც საოცარი სახეები დახატა... საოცარი ფაქტები შემოვინახა... მე ამჯერად გრიგოლ რობაქიძის ეპიზოდზე გავამახვილებ ყურადღებას... ეს ეპიზოდი დავითის თავგადასავალიცაა საინტერესო... თუმცა ეს ერთი მხარეა ამ ეპიზოდისა; სხვა მრავალი რამაა საგულისხმო ამ ამბავში: როგორი იყო იმ-დროინდელ ქუთაისში დამოკიდებულება ქართული ენისადმი; როგორ გამოჩნდა გრიგოლ რობაქიძე ასპარეზზე და როგორ მიიღო იგი ქართულმა საზოგადოებამ; როგორი იყო პირადად დავითის დამოკიდებულება გრიგოლ რობაქიძისადმი და ბოლოს: რა ბედი ეწია „მემუარების“ ამ ეპიზოდს შემდგომ გამოცემებში...

„მემუარები“ 1925 წელს დაიწერა და გამოქვეყნდა უკრ-ნალ „მნათობში“. ეს ვარიანტი არ მქონდა ნანახი. პირველად „მემუარებს“ 1935 წლის გამოცემაში გავეცანი (მოთხრობები, პიესები, მემუარები, ტომი II, „უკლერაცია“, ტფილისი, 1935; სერგო კლდიაშვილის რედაქტორობით).

1980-1981 წლებში გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა დ. კლდიაშვილის ორტომეული (შემდგენელი ს. კლდიაშვილი). „მემუარებს“ ამ გამოცემაში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ ჰქვია. ქართული ენისადმი მწერლის დამოკიდებულება მაინტერესებდა და განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია XII თავში „რ. გ.“-სთან (გრიგოლ რობაქიძესთან) დაკავშირებულმა ეპიზოდმა. გამიკვირდა, რომ ადრე არ მივაქციე ყურადღება ამ ამბავს... აღმოჩნდა, რომ ეს ეპიზოდი წინა გამოცემებში არ იყო. მიზეზი ნათელია:

„მემუარები“ 1925 წელს იწერება. დავითი აღწერს 1908 წელს გრიგოლ რობაქიძის გამოჩნას ქუთაისში და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს... 1935 წლის ორტომეულის გამოცემისის გრიგოლ რობაქიძე უკვე აკრძალულია – იგი ემიგრაციაში 1926 წელს წავიდა... ამიტომ გაქრა ეს ეპიზოდი გამოცემიდან... და აი, 1981 წლის გამოცემაში „რ. გ.“-ს ეპიზოდი (გრიგოლ რობაქიძე ასეა „დაშიფრული“...) აღუდგენია სერგო კლდიაშვილს (არ ვიცი, რამდენად დიდია ამ საქმეში გამომცემლობის წვლილი...). ეს ეპიზოდი სულ რაღაც ორიოდე გვერდია, მაგრამ უაღრესად საინტერესო. ზემოთ ქართული ენისდი დავით კლდიაშვილის დამოკიდებულებაზე როცა ვსაუბრობდი, ეს ეპიზოდიც მოვიშველიე, მაგრამ ახლა სხვა კუთხითაც მინდა დავინახო... მოვიყვან სრულად:

„ამ ხანებში იყო ქუთაისში პირველი გამოსვლები საჯარო ლექციებით რ. გ.-ის. იგი ლექციებს ქათხულობდა რუსულ ენაზე. ხალხი უზომო ესწრებოდა. დიდად ვწუხდით, რომ ლექტორი ერიდებოდა ქართულად გამოსვლას და ვნატრობდით ქართულ ენაზე წარმოთქმულ ლექციას. ბევრი ამართლებდა ლექტორს, ქართულად არ შეიძლება ამის ლექციების გადმოცემაო. ასე ეუცხოებოდათ ამ ახლო წარსულშიაც ქართულად სიტყვის წარმოთქმა. საჯაროდ ქართულად მოლაპარაკე ათასში ერთი თუ გაბეჭდავდა გამოსვლას; ჩვეულებად იყო ხოლმე

ბოდიმის მოხდა — ქართული არ მეხერხებათ, ნება მიმოძეთ რუსულად ვთქვა ჩემი სათქმელით.

ამგვარი იყო მდგომარეობა, როცა რ. გ.-მ იწყო გამოსკლა საჯარო ლექციებით. როგორც ვთქვი, თავდაპირველში იგი ამ ლექციებს კითხულობდა რუსულ ენაზე. ხალხი თბილისშიც და ქუთაისშიც აუარებელი ესწრებოდა. გული პვტკორდა, რომ ამ ხალხს ქართველი ლექტორი ქართულ სიტყვას არ ავონებდა, ქართულ სიტყვას არიდებდა. გულდაწყვეტილებმა, კარლამ ბურჯანაძისა და ვიორგი თუთბერიძის პირით (რომლებთანაც იდგა რ. გ.) შევუთვალით — ლექციები ქართულად კითხნა. მე მაშინ რ. გ.-ს არ ვიცნობდი პირადად. მან შემოგვითვალა, რომ მაღვე ქართულად ვიწყებ ლექციებსი, და მოკლე ხანში კიდევ აასრულა თავისი დანაპირები. მასხოვს პირველი მისი საჯაროდ წაკითხული ლექცია. ლექცია იყო ბარათაშვილზე.

საზოგადოება ვანსხვავებულ აღტაცებაში მოიყვანა ამ ლექციამ. ვაზეთებში დიდი ქებით იხსენიებდნენ ლექციის შინაარსს, ლექტორის ცოდნას და ვანსაკუთრებით აღნიშნავდნენ ლექტორის საუცხოო ქართულს. ბარათაშვილზე ლექციას მოყვა ლექცია ვაჟა-ფშაველას „ველის მჭამელზე“, შეძლევ აკაკიზე. საზოგადოების აღტაცება თანდათმ მატულობდა. ლექტორის არაჩვეულებრივი ლამაზი ქართულის გამოხე მსურველთა რიცხვი შესამჩნევად იზრდებოდა. უსმენდნენ ლექტორს სულგანაბულნი და თავის ყურებს არ უჯერებდნენ, თუ ასეთი შეოიანი ქართულით შესაძლებელი იყო ლექციები კითხვა. ლექტორის საოცარი ლამაზი ქართული უსაზომოდ ხიბლავდა და იტაცებდა მსმენელს.

ქუთაისში ცხოვრობდა იმ დროს ცნობილი საზოგადო მოღვაწე პავლე თუმანიშვილი, კაცი დიდად განვითარებული, ქართულის კარგი მცოდნე. მოხუცი უსაზღვრო აღტაცებით მელაპრაქტოლი და გადმოცემდა იმ შთაბეჭდილებას, ლექციებმა

მასზე რომ მოახდინეს. მოხუცი კაცი პირდაპირ აფრენილი იყო სიხარულით.

— აი, ჩვენი ლამაზი ქართული, ლამაზი ქართული, რომელსაც ვივიწყებთ და ფასს არ ვსძებთ. — გატაცებით ამბობდა ძოხუცი.

ასეთ აღტაცებას განიცდიდა მთელი საზოგადოება.

— სად ისწავლა ამ ოჯახდაქცეულმა ასეთი ქართული?!  
— გაიძახოდა აღტაცებული კოტე ბაქრაძე, ქუთაისში ცხობილი საზოგადო მოღვაწე. — გხიბლავს კაცს ამ შეჩენებულის ენა. ვიძახით, არ ძეხერხება ქართულიო! უხეირო რომ იქნები, ვერაფერს ვერ მოახერხებ!.. ვაუა-ფშაველაზე კი, რაღაც, ძონი გადაგჭარბა!.. ნამეტანი მაღლა ასწია... თუმცა ესეცაა — არ ვიცხობთ არც ჩვენ ლიტერატურას, არც ენას, არც ჩვენ თავს! გადაგვარებაზე ვართ მისული! ჩვენი თავის აღარაფერი გვჯრა! ამისთანა ახალგაზრდები თუ მოძრავლდნენ, უგებ გამოცოცხლდეს ხალხი!

თამამად ვამბობ, რომ რ. გ.-მ გამოცოცხლა მაშინდელი ქართველობა; თავისი საჯარო ლექციებით ნათლად დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ ქართული ენა შვენიბით სავსეა, რომ მისით მშვენივრად ვამოითქმება ადამიანის ყოველნაირი სულისკუთხება, ვამოიხატება მისი აზროვნება. ლექტორმა დაანახა ქართულ საზოგადოებას, ვადაგვარების გზაზე შეძღვარს, ქართულის სიმშვენიერე, სიძლიერე, — დაანახა და ვაიტაცა. მან დიდად დაავალა ქართული საზოგადოება, მას ვერ დაუკიწყებს ქართველობა ამ დიდ ნამოღვაწარს“.

აი, ეს ეპიზოდი აიკრძალა 30-იან წლებში. არადა გრიგოლ რობაქიძის — მწერლისა და მოაზროვნის — დიდებული პორტრეტია დახატული; ზუსტად და ღრმად არის წარმოჩენილი მისი ღვაწლი ქართული ენის, ქართული ლიტერატურის და ქართული საზოგადოების წინაშე... და კიდევ ერთი — იმ-

დროინდელი ქუთაისური საზოგადოების ეროვნული სულისკვე-  
თება... ესეც ცალკე თემაა... გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიისა-  
თვის ეს ეპიზოდი ფასდაუდებელია...

და აი, 1981 წელს გამომცელობა „საბჭოთა საქართვე-  
ლომ“ ნახევარსაუკუნოვანი აკრძალვის შემდეგ ეს ეპიზოდი  
„გააპარა“... ეს სერგო კლდიაშვილის დამსახურება ჩანს!..

ამ ეპიზოდში კიდევ ერთი მოქმედია არსებითი: ერთი  
დიდი მწერალი დავით კლდიაშვილი როგორ არის აღფრთვივა-  
ნებული მეორე დიდი მწერლის – გრიგოლ რობაქიძის –  
გამოჩენით... მახსენდება რევაზ ინანიშვილის ერთი ჩანაწერი:  
„ნუთუ მართლა არაფერს კითხულობენ ერთმანეთისას ჩვენს  
საძმოში? და, თუ კითხულობენ, ნუთუ არაფერი აღაფრთვივა-  
ნებთ?“...

...სხვა კაცი იყო დავით კლდიაშვილი... და სხვა კაცი  
იყო გრიგოლ რობაქიძეც:

ახლახან ინტერნეტში გავრცელდა გრიგოლ რობაქიძის  
პირადი წერილი დავით კლდიაშვილისადმი (მე მხოლოდ ახლა  
ვნახე), გრიგოლს დავითისათვის გამოუგზავნია 1927 წლის 7  
აგვისტოს (ავტოგრაფი წერილისა დაცულია საქართველოს  
ეროვნულ არქივში ვახტანგ გურგენიძის პირად ფონდში):

,ძვირფასო დათიკო,

ტიციანი მწერს, თუ როგორ დატრიალებულხარ ჩემ-  
თვის. გითხრა მადლობა? ეს ცოტა იქნება. მე შენ ერთხელ  
„ჩიტის გული“ გიწოდე. ეს გული ჰქონდა მინდიას, საქართვე-  
ლოს გულთამბილველს. მინდა ამ წამს ავიყვანო ხელში და  
ავაბურთავო. შენ ცრემლი მოგივა. მეც ცრემლი მომივა. ხო-  
ლო არ ვიცი, რომელს უფრო გაგვეხარდება. დავით მწერალი:  
შენისთანას აქ ვერავინ სწერს. ეს არის გადამეტება. აჯამეთის  
ზურმუხტი ჯადო არის და შენს სიტყვას აქვს ეს ჯადო. ვვ-  
როპაში, საცა გული აღარაა, მე მარტო გულით ვცოცხლობ.  
ვარ თუ დაიფერფლოს მთლად. მაგრამ დაფერფლვის წამსაც

შენ ჩემს გულს გაახსენდები და უკნასენელად ამცნებს იგი: ღირდა სიცოცხლე. ნეტა შენს ნახვას მოვესწრებოდე.

შენი გრიგოლ რობაქიძე.“

...და მე ვხედავ დიდი დავითის აცრემლებულ თვალებს ამ წერილის კითხვისას...

ეს წერილი სხვის კომენტარს არ საჭიროებს...

### იოსებ ყიფშიძე დავით კლდიაშვილის თვალით

,„ჰაი, ბერა, რა სალზი იყოო“, უთქვაშს დავითს და ეს ფრაზა გავიხსენე, იოსებ ყიფშიძის ეპიზოდს რომ ვკითხულობდი „მემუარებში“...

იოსებ ყიფშიძე დიდი პიროვნება იყო. დიდი პიროვნება, დიდი მეცნიერი, დიდი მოღვაწე... ივანე ჯავახიშვილის მარჯვენა ხელი; კაცი, რომელმაც თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში დიდი ივანეს შემდეგ ყველაზე მძიმე ტვირთი ზიდა... საუბედუროდ, იოსებ ყიფშიძე ძალიან აღრე გარდაიცვალა, 35 წლისა (1919 წელს)... მან თავისი ნიჭისა და შესაძლებლობის სრულად გამოვლენა ვერ მოასწრო... მის შესახებ ბევრი ცნობაც არ შემოგვრჩენია... დავით კლდიაშვილმა „მემუარებში“ დაგვიტოვა ფასდაუდებელი მოგონება იოსების შესახებ... იოსების საველე მუშობას აღწერს ლაზისტანში... ამითაც არის ძვირფასი ეს წიგნი.

სად გაიცნო დავითმა იოსები, ამის შესახებ არას ამბობს. 1903 წელს დავითი რომ პეტერბურგშია და ივანე ჯავახიშვილს გაეცნობა, იოსებ ყიფშიძე იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო ჩასული პეტერს ქალაქში. 1908 წელს დავითი ქუთაისში გადადის საცხოვრებლად; ამ დროს იოსები უკვე პეტერბურგშია (1906 წლის ზაფხულიდან) ... ფაქტია, რომ დავითი კარ-

გად იცნობს იოსებს, როცა ისინი ერთმანეთს ლაზისტანში ხვდებიან 1917 წლის ზაფხულში...

პირველ მსოფლიო ომში თადარიგის ოფიცერი დავით კლდიაშვილიც გაიწვიეს ოსმალეთის ფრონტზე. ლაზეთში მოუხდა ყოფნა; „მემუარებს“ ის მნიშვნელობაც აქვს, რომ საერთოდ იმდროინდელი ლაზეთისა და ლაზების შესახებ ძალზე მწირი ცნობები შემოგვრჩა. იგონებს: „გავიარუთ დანკრული, მიყრუებული სარფა, მკრიალი, ლიანა; გადაუცდით ჩვენ საზღვარს, ჩავედით მშვენიერ სოფელი აბუსლაში... გავიარუთ ორთა ხოფა, ხოფა... საღამოუამი იყო, პირობიტში რომ მივედით...“ და ხანგრძლივი პერიოდი გაატარა დავითმა პირობიტში. კომენდანტად დაინიშნა. „პირობიტი ლაზისტანშია, ხოფას გადაღმა, ბათუმიდან ოთხმოცი ვერსის სიშორუზე, პატარა სოფელი, მშვენიერი ძღებარეობა.“ მწერალი ძალიან საინტერესოდ აღწერს იქაურობას და იქაურ მოსახლეობას – ქართველებსა და ლაზებს... დავითი დიდი პატივისცემით სარგებლობს იქ... თავადაც დიდად სცემს პატივს ლაზებს, უყვარს ისინი. ორიოდე მაგალითი ადგილობრივებისადმი დამოკიდებულებისა: „ჩემი ბინის მახლობლად ცხოვრობდა მოხუცებული ვინძე მუსტაფა ბექირ-ოღლი; იგი ამბობდა, რომ ნამდვილი მისი გვარი ბექირ-ოღლი კი არ არის – ჩხეიძეა. მუსტაფა ისეთნაირად ლაპარაკობდა ქართულს, ისეთი ლამაზი ვამოთქმებით, რომ ხშირად განვეგ ავალაპარაკებდით, რომ მისი მშვენიერი ქართული მოგვესმინა“... ანდა: „განსხვავებული სიამოვნება გამომცდევინა ერთ დღეს ჩემთან ვიზით მოსულმა სოფელ ფალარეთის მცხოვრებმა პასან დიარ ოღლიმ... მისი ქართული ლაპარაკი გასაოცარი რამ იყო – ეს ნამდვილი მუსიკა იყო. ამასთანავე ენამახვილი, სიტყვამოსწრებული...“

დავითი თავად არის ინიციატორი, ლაზისტანის სოფლებში ქართული სულისკვეთება რომ გაღვივებულიყო და გაძლიერებულიყო... დავითი საგანგებოდ ჩადის ბათუმში. „ბათუმში ჩასვლისას იქ მოველაპარაკე საქველმოქმედო საზოგადოე-

ბის წარმომადგენლებს, რომ მოუვლოთ ლაზისტანის სოფლები“... და „საზოგადოების თბილისურმა მთავარმა გამგეობამ კიდეც გამოვ ზავნა კონსტანტინე კობახიძე იმ დავალებით, რომ მიეარ-მოეარა სოფლები და გამოერკვია მცხოვრებთა მიმართულება; კობახიძე ჩამოვიდა ჩემთან პირონიტში და აქედან მიღი-მოდიოდა სოფლებში“... ვთქვით, მიზანი ასეთია – ლაზებში გაედვიძებინათ ეროვნული ცნობიერება: „კობახიძე უყვებოდა, თუ ვინ იყვნენ ლაზები, აცნობდა მათ ისტორიულ ცხოვრებას და ამვარებს. ყველგან დიდ ინტერესს იწვევდა ეს გაცნობიერება ხალხში“.

აი, ამ ვითარებაში, ამ დროს ჩადის ლაზეთში იოსებ ყიფშიძე. ვთქვით, დავითი, როგორც ჩანს, კარგად იცნობს იოსებს:

„მაცნობეს, ვიღაც თქვენ გვითხულობსო; გამოვედი ოთა-ხილან; ჩემს წინ იოსებ ყიფშიძეა – მოვ ზაურის ტანისამოსში; ზურგ ზე პატარა ჩანთა, ხელში კოლოფი.“

– იოსებ! – მივაძახე გაკვირვებულმა, – იოსებ, საიდან, რამ გადმოვაგდო აქ?!“

და იქვე განმარტავს: „იგი მოვიდა სოფელ ვიწედან უეხით – სამეცნიერო ტკირთის მზიდავის პატოიას თანხლებით. იგი მოვ ზაურობდა ლაზისტანში ჭანურ-მეგრულის შესწავლის მიზნით“...

საინტერესოა, დავითი ერთგან „ლინგვისტურ“ შენიშვნა-საც აკეთებს: „ენა მათი (ლაზების – გ. გ.) ივივე ძეგრულია.“

ორიოდე სიტყვა იოსებ ყიფშიძის ლაზურ-მეგრული ინ-ტერესების გამო: ზემოიმერეთში დაბადებული და გაზრდილი, ქუთაისში განათლებამიღებული იოსები 1909-1910 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტმა მეგრულის შესასწავლად სამეგ-რელოში მიაკლინა. „1910 წლის აგვისტოშივე პეტერბურგის უნივერსიტეტის მიერ მივლინებულ იქნა რუსეთის ლაზისტან-ში ჭანურის შესასწავლად“ (კ. დანელია). იოსები 1911-1912 წლებში ისევ სამეგრელოშია მივლინებით, ხოლო „1917 წელს

(13 ივლ. – 27 აგვისტოს) საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და კავკასიის საარქეოლოგიო ინსტიტუტის მივლინებით იმოგზაურა ლაზისტანში და ჩაიწერა ლაზურის სამივე კილოკავის ტექსტები“ (პ. დანელია).

იოსებმა იცოდა, რომ დავითი კარგად იცნობდა ლაზისტანს, ლაზებს... იცოდა ისიც, ლაზები დიდ პატივს სცემდნენ მას და ამიტომ მიაკითხა დავითს; „მოხოვა, მოძებმო ადგილობრივი მცხოვრებნი, რომ მათვან ჩაუწერა ხალხური ლექსები, ზღაპრები და თხზულებანი. მოვიხმე თავდაპირველად მოხუცი მუხტაფა“...

აქ ძალიან საინტერესოა ორი მომენტი: როგორ ახერხებდა იოსები ურთიერთობის დამყარებას ინფორმატორებთან. „ოსები მუხტაფას ხან ქართულად ელაპარაკა, ხან მეგრულად გამოელაპარაკა; გულიანი მუხსაიფი გააძეს“. ლაზმა იცის ქართულიც, მეგრულიც და ნდობის მოპოვებისთვის ამ ენებზე საუბარი იყო საჭირო (ეს უკვე ამ საქმეში იოსების გამოცდილების მაუწყებელია....).... თუმცა აქ თავს იჩენს იმუამინდელი პოლიტიკური ვითარების სიმწვავის გავლენა: „მაგრამ როცა იოსებმა იწყო წერა, მუხტაფა რაღაც შიშის მიუცა, ჩაჩუძია და ითხოვა განთავისუფლება – ავად შევიქწიო. მოხუცებულს შიში შეეპარა, არაფერ სახიფათოში გაებათ და ვერასვ ზით წინანდელ ხალისზე ვერ მოვიყვანეთ“...

დავითი სხვა გზას ეძებს, სხვა ხერხს მიმართავს, რომ იოსებს დაეხმაროს ლაზური მასალის მოპოვებაში: „გავწიეთ ზღვის ნაპირზე დუქნებისაკენ; აქ გამოვატანინე მავიდა, დავაჯინე იოსები, შემოვუსხი ლაზები და ვაიმართა საუბარი“. დავითი ხაზგასმით წერს იოსების პროფესიონალიზმზე: „ლაზები გაქვირვებას იყვნენ ყოფშიძის ლაზური კილოკავების ზედმიწევნით ცოდნით: თქვენ, პირონიტელები, ასე ხმარობთ ამ სიტყვას, არხავებმა ასე იციან, ვიწები ასე ამბობენო, სოფლები კი ამგვარად გამოთქვამენო. შეყრილი ხალხი ისე დააინტერესა, ისე ჩაიყოლა, შეახალისა, რომ პირდაპირ საყურებელი

რამ სურათი იყო: – გატაცებული მეცნიერი ამოძრავებულ  
ხალხს შორის“...

ესაა თვითმხილველის შეფასება. დავითი ცდილობს იო-  
სები აჩვენოს ისეთი, როგორიც იყო ის...

ლაზეთში იოსები სანამ დავითის თვალსაწიერშია, დავი-  
თი მუდმივად ზრუნვს მასზე, ფურადღებას არ აკლებს, ეხმარე-  
ბა: „მეორე დღეს ყიფშიძე შევაჯინე ცხენზე, გავაყოლე კაცი  
და გავაგ ზავნე, როგორც მას უნდოდა, ხოფაში, პვლევის გა-  
საგრძლებლად. თან წერილი გავუგ ზავნე ჩემ კარგ მეგობრებს  
კელენჯ-ოლღებს და ომერიაკაზ-ოლღის, რომ ხელი შეეწყოთ  
იოსებისთვის. ხოფაში და მის ძირამოებში ყიფშიძე ერთი კვი-  
რა დარჩა, გაფაციცებული ძუშაობდა და დიდი პატივისცემა  
მოიპოვა ძცხოვრებლებში“...

„მემუარების“ ეს ეპიზოდი უაღრესად მნიშვნელოვანია  
იოსებ ყიფშიძის ბიოგრაფიისათვის; მისი პიროვნების შესაცნო-  
ბად და დასახასიათებლად... ლაზეთს, ლაზებს, ლაზურის შე-  
სწავლასა და ლაზურის შემსწავლელს რომ ასეთ ფურადღებას  
უთმობს – ეს უკვე დავით კლდიაშვილის პიროვნებას წარმოა-  
ჩენს დირსეულად!

### „ფანატიკოსები“

დავით კლდიაშვილი საოცრად ზომიერია შეფასებაში;  
მოზომილი ქება იცის, მითუმეტეს – აუგი...

„ჰაი, ბეჩა, რა ხალხი იყონ“, ფიქრობს და იწყებს გა-  
ხსენებას; ხატავს პიროვნების პორტრეტს... თუმცა, როგორც  
ვთქვით, ზომიერად... ორად ორი შემთხვევაა, როცა „მემუარე-  
ბის“ პერსონაჟს ფანატიკოსს (ფანტაზიორს) უწოდებს: ივანე  
ჯავახიშვილსა და იაკობ გოგებაშვილს...

ქუთაისში გრიგოლ რობაქიძემ ქართულად ლექციების  
კითხვა რომ დაიწყო, ამ თემაზე საუბარს განაგრძობს:

„დღეს ეს ზღაპრად გვეჩვენება. ასე კი იყო; დღეს ზღაპრად გვეჩვენება, როცა ჩვენ გვაქვს მშვენიერი უნივერსიტეტი, სამაგალითო მუცნიერ-მუშაკებით სავსე; გუშინ კი გვეცინებოდა, როცა ივანე ჯავახიშვილი სიტყვას ჩამოგვიგდებდა ქართულ უნივერსიტეტზე; მისგან რომ უნივერსიტეტის გეგმა მუშავდებოდა, ფანტაზიად მიგვაჩნდა და თვით ჯავახიშვილს ფანტაზიორს ვეძანდით. თავისი თავის არ გვჯეროდა. თავისი რწმენა გვეპარგებოდა“...

დავითი ივანე ჯავახიშვილს 1903 წელს პეტერბურგში გაეცნო და დიდებული პორტრეტიც დაგვიხატა მისი:

„ერთ საღამოს ნიკო თავდგირიძემ, — მაშინ ივი ოზურგეთის ქალაქის თავი იყო და პეტერბურგში იყო მოსული, ნებართვა გამოუტანა ნატანებიდან ოზურგეთამდი რკინიგზის გამოყვანაზე, — მითხრა: პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი ავად არის და წავიდეთ ვნახოთ. მე არ ვიცნობდი მაშინ პირადად ჯავახიშვილს, მაგრამ დაგუჯერე ნიკოს, რომ იმას ეამება ჩვენი ნახვაო და წაკედი მასთან. ივი მართლაც ავადმყოფი დაგვხვდა, მაგრამ ზეზე იყო. პატარა ოთახი, რომელშიც ივი ცხოვრობდა, სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. სასიამოვნო იყო ჩვენი მასპინძლის ტკბილი ლაპარაკი. მალე მან მიივიწყა თავისი ავადმყოფობა და გაგვაცნო თავისი უკანასკნელი ნაშრომი გიორგი მთაწმიდელის შესახებ. მოხიბლული ახალგაზრდა მუცნიერით, კარგა ხანს დაკრჩით ჯავახიშვილთან. შეძლებ ში ხშირად კხვდებოდით მას... ვსიამოვნებდით, მის ლაპარაკს რომ უკრს ვუგდებდით. თავისებური, ტკბილი ენით ივი ამ დროს ყველადა სინას მთაზე მოვზაურობის ამბავს, იმ ძირიდარ ქართულ მანუსკრიპტებზე, იქ რომ აღმოჩნდა; ამ დროს პირველად გავიგონე და გაფაციცებით უკრს ვუგდებდი ვიორგი მერჩულეუს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერიდან სხვადასხვა აღვილების გადმოცემას. ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს ტკბილი წამები: დრმა სიყვარულით გამსჭვალეს ჩემი გული ძვირფას ივანესადმი; უნებლიერ გიზიდავდა

მისი სინაზე, მისი გულწრფელი სიტყვა, აზრი – აღბათ, ამ თვისებების გამო შეძლებში შეძლო უდიდესი საქმის მოგვარება – ქართული უნივერსიტეტის დაარსება, მშვენებით მისი გადღოლა – რამაც საქართველო დაამშვენა და თვით ივანე ჯავახიშვილი საერთო სიყვარულით შემოსა...“

დავით კლდიაშვილს შეეძლო ასეთი ზუსტი პორტრეტის დახატვა... უშურველიც ეპითეტებში ივანე ჯავახიშვილისადმი იყო... ამიტომაც იყო, რომ „გამართლდა ფანტაზია. რწმენა ჰქონდა ქართველი ხალხის ცხოველმყოფელობისა; ამან შეაძლებინა დიდებული საქმე გაეცემობინა“...

ეს ქუთაისის პერიოდში იწერება...

გრიგოლ რობაქიძის მიერ ქართულად წაკითხული ლექციების მოგონებამ დიდი ივანე გაახსენა; ივანე ჯავახიშვილზე საუბარმა – იაკობ გოგებაშვილის საქმენი მოაგონა... ჯავახიშვილზე საუბარს ასე აგრძელებს:

„მახსოვს მეორე ფანატიკოსმა იაკობ გოგებაშვილმა ურნალ „ივერიაში“ დაბეჭდა წერილი სათაურით – „რანი ვიყავით გუშინ“. წერილში აღწერილი იყო საქართველოს კულტურული სახე XVIII საუკუნეში. „ფანტაზიას უძღვევა, ნამეტანს აჭარბებსო, – ისმოდა მკითხველთა შორის. – მავგვარი რამ რომ გვქონებოდა, წარჩინებული ხალხი ვიქწებოდით; ვინ გვაღირსა ჩვენ მაგვარი კულტურაო!“ არ გვწამდა ჩვენი თავის, არ გვჯეროდა ჩვენი შესაძლებლობის. იაკობს კი ეს რწმენა ღრმად ჰქონდა გამჯდარი და ამიტომ შეძლო ამ დიადი მოღვაწეობის გაწევა, მან რომ გასწია იანოვსკის, ზავადსკის, ლევაცის და ამათვერის ხანაში“...

დიახ, „ფანატიკორ ივანე ჯავახიშვილზე“ საუბარმა „მეორე ფანატიკოსი იაკობ გოგებაშვილი“ გაახსენა... ეს ფაქტი დავით კლდიაშვილსაც ახასიათებს – თავად ქართული საქმის, ეროვნული საქმის ფანატიკოსებს!..

დიახ, დავით კლდიაშვილი იყო „კაცი, რომელსაც გული მეტი ჰქონდა, ვიდრე თვითონ იყო“!

## შინაათელი

წინასიტყვა (სერიისათვის „ენა და მწერალი“) .....	3
<b>დავით კლდიაშვილი და ქართული ენა</b>	
„ვწერდი, როგორც იწერებოდა“.....	5
„არ გავრუსდები!“.....	8
ენა – პიროვნების მახასიათებელი.....	13
ლექცია ქართულ ენაზე .....	17
„შემოწეპილი“ სახელ-გვარები .....	22
ლაპარაკობს კლდიაშვილის პერსონაჟი .....	29
<b>კაცი, რომელსაც გული მეტი ჰქონდა, ვიდრე თვითონ იყო (ფიქრები დავით კლდიაშვილზე)</b>	
მამაშვილობა.....	54
„ფანტაზია“ თუ „ფანტასტიკა“? .....	57
„თავმდაბლობა ღმერთის შესამოსელია“.....	59
გრიგოლ რობაქიძე და დავით კლდიაშვილი .....	66
იოსებ ყიფშიძე დავით კლდიაშვილის თვალით.....	72
„ფანატიკოსები“ .....	76

